ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ვახტანგ რობაქიძე: „ანრი ოხანაშვილი დამემუქრა, მე გაჩვენებ, ვინ ვარ და რას დაგმართებო“



გვ.5

„6 დღე საკანში მაწამეს, ფაქტობრივად, უჭმელი ვიჯექი“

21 იანვრიდან

რევაზ მიშველაძე

ქრისტე

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

სამშაბათი, 21 იანვარი, 2020 №16 (8280) ფასი: 60 თეთრი

# „რევოლუციის მოწყობა მხოლოდ ივანიშვილს შეუძლია“



გვ.3

რაზე ისაუბრა მურმან დუმბაძემ მიხეილ სააკაშვილთან



## „ანას ბაღში კალაძემ თავისივე გაუქმებული ნებართვა ხელახლა გასცა“



გვ.3

ლევან ხაბეიშვილი: „ან კორუფციული ინტერესია, ან კალაძეს ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი“

## ზაალ უდუმაშვილი: „ამერიკიდან „ოცნებას“ გამადიდებელი შუშით აკვირდებიან“

„თუ კალაძე წამოვიდა, ჩვენ მისი მაშველი ვერ ვიქნებით“

„სააკაშვილი ერთპიროვნული მმართველი არ ყოფილა, მის განცხადებებს „ოცნება“ სხვა ინტერპრეტაციას უკეთებს“



გვ.3

## ამირან სალუქვაძე: „ოცნების“ რეიტინგი რომ დაცემულია, ამას თვითონ პარტიაც არ უარყოფს“



გვ.4

## ოკუპირებულმა ცხინვალმა ვლადიკავკაზთან ინტეგრაცია დაიწყო



გვ.4

„პუტინის განცხადებამ მოგვცა სტიმული, გავაქტიურდეთ ქართველების მიერ ოსების გენოციდის აღიარების საკითხში“



გვ.2

## „არ მინდა, მახინჯ ტრადიციას მივცეთ დასაბამი“

ქუცნაშვილმა პარლამენტში დაბრუნებაზე უარი თქვა

ISSN 1987-9385

5 ზურაბ ბუდაღაშვილის ძმა მოსამართლემ სასამართლო დარბაზიდან გააძევა და 200 ლარით დააჯარიმა

2 რომან გოცირიძე: „4 თებერვლიდან პარლამენტის პიკეტი განახლდება“

5 31 დეკემბერს დაკავებული პირების საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებას 22 იანვარს გამოაცხადებს

6 ბორის ჯონსონი პუტინს აფრთხილებს, ბრიტანეთში ქიმიური თავდასხმა აღარ გაიმეოროს

# „არ მინდა, მახინჯ ტრადიციას მივცეთ დასაბამი“

## ქუცნაშვილმა პარლამენტში დაბრუნებაზე უარი თქვა

პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი პარლამენტის წევრობაზე უარს ამბობს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ განცხადება თავად ქუცნაშვილმა მიაწოდა.

როგორც ყოფილი დეპუტატი განმარტავს, მას სამართლიანად არ მიაჩნია დაეთანხმოს პარლამენტის წევრობას იმის გამო, რომ პარტიული სიით განსაზღვრული რიგითობა უწევს, მაშინ, როცა მან, როგორც მაჟორიტარული წესით გამარჯვებულმა დეპუტატმა, უკვე უარი თქვა მანდატზე.

„ინტერპრესნიუსი“ ქუცნაშვილის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„ბევრი ადამიანი ინტერესით ელოდება – ვისარგებლებ თუ არა კანონით მონიჭებული ადგილმონაცვლეობის უფლებით, რის საშუალებასაც 2016 წლის საპარლამენტო სიით განსაზღვრული რიგითობა მაძლევს. დავთანხმდები თუ არა, ისევ დავიკავო დეპუტატის ადგილი საქართველოს პარლამენტში. მართლაც დიდი პატივია ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში საკუთარი ამომრჩევლის ინტერესებს წარმოადგენდე და მის უფლებებს იცავდე. ჩემი შეხედულებით, პოლიტიკოსი, ისევე როგორც სხვა სფეროში მომუშავე ადამიანი, მხოლოდ იმ შემთხვევაშია თავისუფალი, თუ შეუძლია ნებისმიერ ქმედებაში საკუთარი წილი პასუხისმგებლობა დაინახოს; თუ ადამიანურ სოლიდარობას თანამდებობის შენარჩუნების ინტერესს არ უქვემდებარებს და მის ზნეობრივ სასწორზე სამოქალაქო თანხმობა ბევრად გადაწონის პირად პოლიტიკურ კარიერას.




ჩემთვის კანონს, უფლებებითა და ინტერესებით აღმჭურვილი და მავალდებულებელი ბუნების გარდა, მორალური სახეც აქვს. მორალურობის მთავარი განმაპირობებელი კი სამართლიანობა და ტრადიციაა. არ ცდებიან ის იურისტები, რომლებიც ამბობენ, რომ ერთი მოწვევის პარლამენტში ერთი და იგივე პირი შეიძლება ორჯერ აირჩეს, რადგან შერეული საარჩევნო სისტემით ფორმირებული ერთპალატიანი პარლამენტი ამის შესაძლებლობას იძლევა. შუალედური არჩევნები ყველა ყოფილ დეპუტატს წარმოუშობს უფლებას განმეორებით იყაროს კენჭი და კვლავ გახდეს იმავე მოწვევის პარლამენტის წევრი, მაგრამ მაჟორიტარული წესით გამარჯვებულმა დეპუტატმა პარლამენტის წევრობაზე უარი თქვას და მეორე წელს თუნდაც იმის გამო, რომ პარტიული სიით განსაზღვრული რიგითობა მოუწევს, დაეთანხმოს პარლამენტის წევრად კვლავ გახდომას – სამართლიანად არ მიმაჩნია! პრეცედენტის დაშვებით არ მინდა მახინჯ ტრადიციას მივცეთ დასაბამი. ნებისმიერი საარჩევნო სისტემის პირობებში, პარლამენტში მოხვედრის ჯერადობა არჩევნებში გამარჯვების ჯერადი უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მოქმედი კანონი ამის უფლებას მაძლევს და თანაც დიდია ცდუნება იმისა, რომ საპარლამენტო ტრიბუნიდან ვუპასუხო პოლიტიკანების ცრუ ბრალდებებს, მეორედ ვაცხადებ უარს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მე, როგორც პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ -ს ერთ-ერთი დამფუძნებელი, მოგმართავთ თხოვნით, რათა ამომიღოთ საპარლამენტო სიიდან, ფორმალურად კანონიერი, მაგრამ რეალურად უსამართლო შესაძლებლობის წარმოშობამდე.“

შეგახსენებთ, რომ დეპუტატ ოთარ ჩრდილელის ადგილმონაცვლე პარლამენტში პარტიული სიის მიხედვით, ზაქარია ქუცნაშვილი უნდა ყოფილიყო.

# სუსი: „საოკუპაციო ძალებმა გუგუტიანთკარში უკანონო ინსტალაციები აღმართეს“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ჩორჩანა-პერევის მონაკვეთზე არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.




უწყების ცნობით, მიმდინარეობს აღნიშნული მონაკვეთის სრულყოფილი შესწავლა და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება შესაბამისად რეაგირებს უკანონო მონიშვნებისა და შესაძლო ბორდერიზაციის ყველა შემთხვევაზე.

„მიმდინარეობს აღნიშნული მონაკვეთის სრულყოფილი შესწავლა. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება შესაბამისად რეაგირებს უკანონო მონიშვნებისა და შესაძლო ბორდერიზაციის ყველა შემთხვევაზე.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საოკუპაციო ძალების უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით მუდმივ რეჟიმში აწვდის ინფორმაციას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას და საერთაშორისო პარტნიორებს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანას მიმდებარედ არსებულ ტყის მასივში, ხეების წითელი საღებავით მონიშვნის შემთხვევა წარსულშიც, 2016 წელს იქნა აღმოჩენილი.

საკითხის განხილვა მოხდა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის რიგით 72-ე შეხვედრაზე.

ცენტრალური ხელისუფლების პრინციპული პოზიციის შედეგად აღნიშნული განხილვის ფარგლებში საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა უარყვეს კავშირი ხეებზე დატანილ მონიშვნებთან დაკავშირებით“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, საოკუპაციო ძალებმა სოფელ გუგუტიანთკარში, უკანონო ინსტალაციები აღმართეს.

უწყების ცნობით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გააქტიურებულია „ცხელი ხაზი“ და ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია.

„საოკუპაციო ძალები აგრძელებენ პროვოკაციულ ქმედებებს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ. მათ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ გუგუტიანთკარში, უკანონო ინსტალაციები აღმართეს. მიმდინარეობს მავთულხლართების ე. წ. საზღვრის აღმნიშვნელი ღობეებით ჩანაცვლების პროცესი, რაც ე.წ ბორდერიზაციის ნაწილს წარმოადგენს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გააქტიურებულია „ცხელი ხაზი“ და ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია.

აღსანიშნავია, რომ სუს-ს არ ეძლევა შესაძლებლობა აღნიშნული საკითხი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებშიც განიხილოს, რომელიც საოკუპაციო ძალების გადაწყვეტილების შედეგად 2019 წლის 29 აგვისტოს შემდეგ შეწყვეტილია“ – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ანტისაოკუპაციო მოძრაობა „ძალა ერთობაშიას“ ლიდერმა, დავით ქაცარავამ გუშინ, 20 იანვარს, გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსმა მესაზღვრეებმა ჩორჩანა-პერევის მიმართულებით, ტყეში საღებავებით მონიშნეს ადგილები, სადაც, სავარაუდოდ, გაზაფხულზე, ახალ საოკუპაციო ღობეებს დაამონტაჟებენ.

# რომან გოცირიძე: „4 თებერვლიდან პარლამენტის პიკეტი განახლდება“

– სახელმწიფო დაწესებულებების პიკეტირება იქნება, ხოლო 4 თებერვლიდან განახლდება პარლამენტის პიკეტი.




ამის შესახებ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძემ ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, მმართველი გუნდი საპროტესტო აქციების ფონზე, არჩევნებამდე ჩამოშლილი მივა.

– „ქართული ოცნება“ არ არის მზად, რომ ქვეყანაში სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს. ერთადერთი, რაც მათ ესმით, ეს არის ძალა. ამიტომ ეს ძალა იქნება გამოყენებული და ჩვენ მათ ხალხის ნებას ვაჩვენებთ.

იქნება სახელმწიფო დაწესებულებების პიკეტირება, ხოლო 4 თებერვლიდან განახლდება პარლამენტის პიკეტი. ეს გაგრძელდება იქამდე, ვიდრე „ქართული ოცნება“ არ შეასრულებს თავის დანაპირებს.

ამ პროტესტის ფონზე არჩევნებამდე მივლენ ჩამოშლილები. მათ აქვთ ორი ალტერნატივა: ან დათმობაზე წავიდნენ, ან არჩევნებამდე ჩამოშლილები მივიდნენ, – განაცხადა გოცირიძემ.

# ბექა ოდიშარია არ ადასტურებს, რომ შესაძლოა კულტურის მინისტრის პოსტი დაიკავოს

პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბექა ოდიშარია არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ შესაძლოა მან კულტურის მინისტრის პოსტი დაიკავოს.

ბექა ოდიშარიას განმარტებით, ამჟამად საპარლამენტო საქმიანობაზეა ორიენტირებული.

– ყოველთვის ვგულშემატკივრობდი იმას,



რომ კულტურის სამინისტრო ყოფილიყო ცალკე და გუნდის შიგნით, როდესაც იყო ხოლმე მსგავსი ტიპის დისკუსიები, მხარს ვუჭერდი.

რაც შეეხება პერსონალურ საკითხს, ცხადია, არ გიდასტურებთ. ამჟამად ვარ პოზიციაზე, რომელიც ნამდვილად არ არის მინისტრის რანგზე ნაკლები. ახლა მთელი გულით და სულით ჩართული ვარ დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის საქმიანობაში, – განაცხადა ბექა ოდიშარიამ.

განათლების და კულტურის სამინისტროების გაყოფასთან დაკავშირებით მთავრობაში გადაწყვეტილება მიღებულია.

უკვე დადასტურებულია, რომ პროცესები თებერვლიდან დაიწყება. ამისთვის კი აუცილებელია შესაბამისი დადგენილება პრემიერ-მინისტრმა პარლამენტს გადაუგზავნოს.

აღსანიშნავია, რომ კულტურის სფეროს ხელმძღვანელად დღეს სამი გვარი დასახელდა: ბადრი მაისურაძე, ელისო ბოლქვაძე და ბექა ოდიშარია.

საქართველოში 10 სამინისტრო და ერთი სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2018 წელს ჩამოყალიბდა. სამთავრობო ცვლილებების მიხედვით კი კულტურისა და სპორტის სამინისტრო განათლების სამინისტროს შეუერთდა.

# ცოლის მკვლელობაში ბრალდებულ ლევან ლომიძეს პატიმრობა შეეფარდა



სურამში ცოლის მკვლელობაში ბრალდებულ ლევან ლომიძეს გორის რაიონულმა სასამართლომ აღკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.

გადაწყვეტილება მოსამართლემ გუშინ, 20 იანვარს, მიიღო.

პროცესს ესწრებოდა თავად ბრალდებული, ლევან ლომიძე, რომელიც ბრალს აღიარებს.

პროცესზე პროკურორის შუამდგომლობას დაეთანხმა დაცვის მხარეც. ბრალდებულს სახაზინო ადვოკატი იცავს.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა ყოფილი მეუღლე მოკლა და მიიმალა. ლევან ლომიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ მაქათუბანში, რამდენიმესაათიანი ძებნის შემდეგ იპოვეს.

# არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის საქმეზე ბრალდებული 11 პირი კვლავ პატიმრობაში რჩება




არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის და ტრეფიკინგის საქმეზე ბრალდებული 11 პირი კვლავ პატიმრობაში რჩება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათ მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა ძალაში დარჩა.

არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის უკანონოდ დამზადება-გასაღებისა და ტრეფიკინგის ბრალდებით სულ 24 პირია დაკავებული.

საქმეში მთლიანად დაზარალებული 23 არასრულწლოვანია, რომელთა ასაკი 8 წლიდან 14 წლამდეა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ანას ბაღში კალაძემ თავისივე გაუქმებული ნებართვა ხელახლა გასცა“

## ლევან ხაბეიშვილი: „ან კორუფციული ინტერესია, ან კალაძეს ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **ლევან ხაბეიშვილი** პასუხობს.

***– ლევან, ანას ბაღის ირგვლივ დაწყებული პროტესტი აქტიურ ფაზაში შევიდა. დაპირისპირება მოხდა ადგილობრივ მოსახლეობასა და კომპანიის წარმომადგენლებს შორის. დაურბიეს კარვები, ფიზიკურად გაუსწორდნენ. რა ხდება, კორუფციული ნიშნები იკვეთება ამ საქმეში?***

– ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს ამ ხალხს, სცემეს, დაასისხლიანეს. საავადმყოფოშია გადაყვანილი ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრები. უკვე მერამდენე შემთხვევაა, რომ ფიზიკურად დაერივნენ ამ ხალხს. ადგილობრივ მოქალაქეებს ასე აწიოკებენ. დაცვის სამსახური მოიყვანეს, კუნთმაგარი ბიჭები და იმათ აცემინეს. ზოგს იარაღით აშინებენ, ზოგს ფიზიკურად, ზოგს მუშტებით.

***– რამდენად უკანონოდ არის გაცემული მშენებლობის განკარგულება?***

– 2017 წელს დავით ნარმანიამ გასცა ამ მშენებლობის განკარგულება. თანაც როგორ გასცა, ქურდულად, ფარულად და მალულად. ჯერ ჩუმად გაყიდა მიწის ნაკვეთი და მერე გასცა ნებართვა. მერე კოეფიციენტიც მოუმატა, ისე, რომ ადგილობრივებმა არავინ არაფერი იცოდა, სანამ არ შემოღობეს ეს ტერიტორია. კალაძე მერი რომ გახდა, თქვა, რომ სკვერში კორპუსი არ აშენდება, მორჩა ბეტონიზაცია ამ ქალაქშიო და ეს ნებართვა კალაძემ თავად გააუქმა.

***– შემდეგ რა შეიცვალა?***

– კალაძემ პირადად გააუქმა ეს ბრძანება და 2017 წლის დეკემბრიდან 2019 წლის ოქტომბრამდე მშენებლობა არ მიმდინარეობდა, შეჩერდა პროცესი. თუმცა 2019 წლის ოქტომბერში კალაძის თავში რაღაც შეიცვალა და თავისივე გაუქმებული ნებართვა გასცა ხელახლა.

აი, ამ დღიდან დაიწყო მწვავე პროტესტი. ეს ადამიანები ამ მშენებლობას 70 დღის განმავლობაში აპროტესტებენ ყოველდღიურ რეჟიმში. მსგავსი შემთხვევა დედაქალაქში არ ყოფილა. ღამის კარავი, ღამისთევები, ადამიანები ფიზიკურად იცავდნენ ეზოს, რომ იქ კორპუსი არ აშენდეს.

მიუხედავად ამისა, მერს ეს ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. ამ ხალხს პარტიულ აქტივს ეძახის, შეურაცხყოფას აყენებს. არც კი შეხვდა მათ. ეს ადამიანები იბრძვიან იმისთვის, რომ მათ შვილებს ჰქონდეთ სივრცე, ეზო, სკვერი და სუნთქვის შესაძლებლობა. შეიძლება ყველგან კორპუსის ჩაკვეხება?!

***– მოსახლეობა აცხადებს, რომ პატრული მიზანმიმართულად გაეცალა დაპირისპირების ადგილს.***

– პატრული უკვე მერამდენედ აკეთებს ამას. პატრული მოდის, დაზვერვის სამსახურივით დადგება და ელოდება, ფიზიკურ დაპირისპირებაში როდის შევლენ ადამიანები.

***– რატომ შეცვალა კალაძემ საკუთარი გადაწყვეტილება? შესაძლოა, კორუფციას ჰქონდეს ადგილი?***

– მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ან კორუფციული ინტერესია და ფული აიღეს ამაში, ნამდვილად დასაჯერებელი არგუმენტია და მეორე, უბრალოდ, კალაძეს ფეხებზე ჰკიდია ეს ყველაფერი, ისიც, რომ საკუთარი სიტყვები მიაქვს უკან.

პირველად მოხდა ასეთი რამ, თუ რა! ამ მთავრობას ხომ რამდენიმე პირი აქვს. ან ორპირობის ამბავია, ან ფულის. მეტი რა უნდა ვიფიქროთ? თავისივე გაუქმებული ნებართვა დააბრუნა. თავის დროზე ნარმანიამ გააკეთა ფული, ახლა კალაძე აკეთებს ამაში ფულს და თან ადამიანებს ასე ფიზიკურად უსწორდებიან.

1 ნაგვის ურნაში კალაძე იხდის 31 ათას ლარს და 10 ნაგვის ურნის ფასად მაგ მიწას გამოისყიდის. თბილისელები კარგად დაფიქრდნენ, 10 ნაგვის ურნის ფასად არ უღირს მას ადგილობრივი მოსახლეობა. სწორედ 10 ნაგვის ურნის ფასად გაუსტუმრებს ამ კომპანიას ვალს.

***– ბოლო პერიოდში კახი კალაძეს სულ უფრო ხშირად ადანაშაულებენ კორუფციაში.***

– რა თქმა უნდა, ასეა. მილიონობით ლარს იხდის პიარში ადამიანი და ორი კაპიკის გადახდა არ უნდა იმაში, რომ ამ ადამიანებს სკვერი შეუნარჩუნოს. რაღაცას ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი?! ძალიან ცუდად დაამთავრებს ეს ადამიანი.

***– ლევან, ასევე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის სასადილოებში უფასო კვებისთვის გამოყოფილმა თანხამ, რომელიც 1 ლარი და 29 თეთრიდან 0.90 თეთრზე დავიდა. რამდენად ადეკვატურია საკვებისთვის დღეში 90 თეთრი?***

– ჯერ ხომ 1 ლარად და 18 თეთრად კვებავდნენ ნარმანიას დროს და ახლა კალაძემ მთელი ამ 2-3-წლიანი მერობის პერიოდში, მთელი 11 თეთრი დაუმატა ადამიანებს.

1 ლარი და 29 თეთრი რომ არის გამოყოფილი, ის კვებას კი არ ხმარდება. ამ თანხაში შედის მომსახურე პერსონალი, ვინც ეს საკვები უნდა მოამზადოს, ასევე დისტრიბუცია, აქ შედის კომუნალური გადასახადები. ანუ აქ შედის ყველა გადასახადი და საბოლოოდ ეს თანხა არ აღემატება 80-90 თეთრს. რეალურად 1 ლარად და 29 თეთრად კი არა, 90 თეთრად კვებავს თბილისელებს კახი კალაძე! ხოლო ასეთი უკიდურესად გაჭირვებული ადამიანი დედაქალაქში ცხოვრობს 40 ათასი, რომელიც დადის უფასო სასადილოში.

გაბღენძილები რომ დადიან თბილისის მერიის და საკრებულოს თანამშრომლები და 5 ათასი ლარი რომ აქვთ ხელფასები, ამ ადამიანებს 90 თეთრი რაში ყოფნით?!

***– სასაცილო თანხაა.***

– სასაცილო და სატირალი. სამაგიეროდ, რესტორანში რომ შევა კალაძე და მერიის წარმომადგენლები, რამდენს ხარჯავენ?! უამრავი დოკუმენტი შემიძლია გაჩვენოთ, მაგალითად, სარესტორნო ხარჯი 1 ადამიანზე რა უჯდებათ ხოლმე. 70 ლარიდან ზემოთ, ხან 100 ლარამდეც. ანუ, თვითონ რომ რესტორანში წავლენ ბიუჯეტის ხარჯზე, 1 ადამიანი უჯდებათ 70 ლარი და ზემოთ. ხოლო მოქალაქეს ეუბნებიან, შენ 90 თეთრად უნდა იკვებოო.



რამხელაა საკრებულოს შენობა, ხომ იცით და ამხელა საკრებულოს 20 დამლაგებელი ემსახურება და 1 დამლაგებელს იცით, რამდენი აქვს ხელფასი?!

***– რამდენი?***

– 200 ლარი! 8 ლარი დღეში. დილიდან საღამომდე ამუშავებენ. კალაძეს სახლში რომ ჰყავს დამლაგებელი, 8 ლარად ულაგებს?! ასეთ ადამიანს რა უნდა ველაპარაკოთ.

***– ბოლო პერიოდში ძალიან ბევრს საუბრობენ კალაძის კორუმპირებულობაზე და შეუდგა მას საბოლოოდ წყალი?***

– ამ ქალაქში რამდენიმე ყაჩაღი არსებობს. მთავარი ყაჩაღი ბიძინაა და მერე ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ყაჩაღი კახი კალაძე. მათ შორის თუ რამე დაპირისპირება არის, მხოლოდ იმაზე, რომ ქონებას ვერ ინაწილებენ, ვერ გაძღნენ.

ერთმანეთის გარეშე იპარავენ რაღაცებს და მერე ბიძინა ნერვიულობს, ჩემ გარეშე როგორ მოიპარაო. მხოლოდ ეს დამოკიდებულება აქვთ და ამის გამო აერია ურთიერთობა ამ ყაჩაღების ჯგუფს. ვერ გაინაწილეს დედაქალაქი. ვერ გაძღა მათი ღორი მუცლები.

კალაძის გარშემო დაკავებები უკვე დაიწყო და მასაც სერიოზულად დაუქნევენ თითს.

# ზაალ უდუმაშვილი: „ამერიკიდან „ოცნებას“ გამადიდებელი შუშით აკვირდებიან“

## „თუ კალაძე წამოვიდა, ჩვენ მისი მაშველი ვერ ვიქნებით“

იაგო ნაცვლიშვილი



მორიგი კრიტიკული ხმა გაისმა ვაშინგტონიდან საქართველოს ხელისუფლების მისამართით. ამერიკელი კონგრესმენი „რესპუბლიკური პარტიიდან“ მარკუეინ მალინი „ტვიტერის“ საშუალებით საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი გახარიას ღია წერილით მიმართავს. ამერიკელი კონგრესმენი აცხადებს, რომ შეშფოთებულია საქართველოს მხრიდან დემოკრატიული ღირებულებების გადახვევის გამო. რაც, მისი აზრით, პირდაპირპროპორციულად აისახება ეკონომიკურ მდგომარეობასა და ინვესტიციებზე.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ გრძელდება დასავლეთის მხრიდან საქართველოს ხელისუფლების ღია კრიტიკა და მოიმატებს თუ არა ის? ითანამშრომლებს თუ არა ოპოზიცია კალაძესთან, თუ ეს უკანასკნელი ოპოზიციაში გადაინაცვლებს და ფიქრობს თუ არა, რომ მისი პარტიის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი თავისი განცხადებებით აზარალებს საერთო ოპოზიციურ საქმეს? – აღნიშნულ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი **ზაალ უდუმაშვილი** საუბრობს:

***– ამერიკელი კონგრესმენის მორიგი კრიტიკული წერილი ვნახეთ, რომელიც შეშფოთებულია საქართველოში დემოკრატიული ხარისხით, რაც, მისი აზრით, პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ეს ნიშნავს, რომ კვლავ გრძელდება „ოცნების“ მისამართით კრიტიკა?***

– რა თქმა უნდა, ეს ამას ნიშნავს. ჩვენ ვხედავთ, თუნდაც ბოლო ორ თვეში რამდენად გამკაცრდა ტონი შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოს ხელისუფლების მისამართით. იყო კონგრესმენების წერილი, იყო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ძალიან მკვეთრი განცხადება, ახლა ისევ კონგრესმენის განცხადება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ზუსტად იცის, რა ხდება საქართველოში და ზუსტად ხვდება, რომ ივანიშვილის რეჟიმს ქვეყანა მიჰყავს საწინააღმდეგო კურსით. მე ვვარაუდობ, რომ ეს არ არის ბოლო განცხადება აშშ-დან, იქნება კიდევ უფრო მკაცრი განცხადებები.

არ გამოვრიცხავ, რომ კონკრეტული ქმედებებიც იყოს. ვნახეთ, რა გადაწყვეტილება მიიღო ფეისბუქში არსებული ტროლებისა და ბოტების შესახებ ფეისბუქის ცენტრალურმა ოფისმა. ასე რომ, ასეთი აქციები თუ ქმედებები სავარაუდოდ კიდევ გაგრძელდება. იმიტომ, რომ აშშ-შიც ხედავენ, რომ ივანიშვილს არა თუ არ ესმის, რასაც ეუბნებიან და არც იმ გზავნილებს იღებს, რაც საქართველოსთან მიმართებით ჟღერდება. ივანიშვილი სრულიად საპირისპიროდ მოქმედებს და დიდი ხანია, რომ საქართველო მართლაც გამადიდებელი შუშის ქვეშ არის, დიდი გულისხმიერებით აკვირდებიან აქ მიმდინარე პროცესებს.

***– ივანიშვილის ბოლო ქმედებები, პირიქით, საქართველოს ხელისუფლებისთვის უკუშედეგს ხომ არ იძლევა დასავლეთში? ვგულისხმობ იმას, რომ აბრუნებს იმიჯშელახულ თანამდებობის პირებს.***

– ზოგადად ივანიშვილის მთავრობის მიმართ კრიტიკა დიდი ხანია არსებობს. მათ შორის ამ მთავრობის საგარეო კურსთან დაკავშირებითაც და შიდა პოლიტიკასთან მიმართებითაც. ბუნებრივია, ასეთი გადაადგილებები აჩენს კითხვებს. წარმოიდგინეთ ქვეყნის მმართველი, რომელსაც კადრიც კი არ ჰყავს, რომ ვინმე შეცვალოს და ასე კარუსელს ატრიალებს. ხან ერთ მინისტრს დანიშნავს სხვა თანამდებობაზე და ხან მეორეს. მერამდენედ უნდა ვიხილოთ, როდესაც მთავრობიდან წასული ადამიანები ისევ ბრუნდებიან მთავრობაში. ფაქტია, რომ ივანიშვილს არანაირი საკადრო რესურსი არ გააჩნია ქვეყანაში.

მეორე საკითხია ის, რომ ივანიშვილი არ ენდობა არავის. მანიაკალური თვისებაა, რომ ის გამოირჩევა ზოგადად უნდობლობით. მხოლოდ რამდენიმე ადამიანია, რომელსაც ის ატრიალებს მთავრობაში. ბუნებრივია, რომ ესეც კითხვის ნიშნებს აჩენს და ასეთი გადაწყვეტილებები ყოველთვის აისახება ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე.

***– კალაძეს დაჭერაზე წავა ივანიშვილი?***

– ყველაფერზე წავა ბიძინა ივანიშვილი. მისთვის არ არსე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „რევოლუციის მოწყობა მხოლოდ ივანიშვილს შეუძლია“

## რაზე ისაუბრა მურმან დუმბაძემ მიხეილ სააკაშვილთან

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **მურმან დუმბაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილთან გამართულ შეხვედრასა და ვადამდელ არჩევნებზე საუბრობს.

***– ბატონო მურმან, მიხეილ სააკაშვილთან თქვენი შეხვედრა ვისი ინიციატივით გაიმართა?***

– რატომ გამოიწვია ამ შეხვედრამ ასეთი აჟიოტაჟი, არ ვიცი. მე როდესაც დავრწმუნდი, რომ ქართული პოლიტიკა მიხეილ სააკაშვილის გარეშე შეუძლებელია, იმის მერე მე მასთან მქონდა შეხვედრები და მაქვს. დიახ, გიდასტურებთ, შევხვდი და ვისაუბრეთ.

***– სად შეხვდით, კიევში?***



– შეხვედრები ძირითადად ევროპაში იყო, მათ შორის კიევშიც.

***– ევროპის რომელ ქვეყანაში?***

– საფრანგეთში.

***– კონკრეტულად რაზე იყო საუბარი?***

– საუბრის თემა ერთადერთია – მშვიდობიანად, არჩევნებით ხელისუფლების ცვლილება. სტრატეგია არ იცვლება, იცვლება ტაქტიკა. სხვადასხვა სცენარები განვიხილეთ, ცხადია, მათ შორის განხილული იყო მშვიდობიანი საპროტესტო აქციები ხალხის მონაწილეობით.

***– ხალხი რომ არ გამოდის?***

– ხალხის რაოდენობას ნუ დათვლის ბიძინა ივანიშვილი. არც 2003 წელს არ გამოსულა ხალხი, არც აჭარის მოვლენების დროს არ იყო იმდენი ხალხი გამოსული, მაგრამ ასლან აბაშიძეს მოუწია აჭარიდან წასვლა. ბიძინა ივანიშვილმა დანაპირები უნდა შეასრულოს და არსებული საარჩევნო სისტემა შეცვალოს. ეს არის და ეს.

***– გიგა ბოკერია აცხადებს, რომ თუ ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს ივანიშვილი, ოპოზიცია არჩევნებში მონაწილეობას არსებული სისტემით მიიღებს. ეს ვარიანტიც განიხილეთ?***

– ეს ის შემთხვევაა, როდესაც გიგა ბოკერიას თავიდან ბოლომდე ვეთანხმები. ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში ივანიშვილი არაფერს არ ცვლის და არჩევნებში წასვლა არსებული, შერეული სისტემით მოგვიწევს, მაგრამ ჩვენ, ოპოზიცია, ყველა დონეზე, ყველგან და ყველაფერში შევთანხმდებით და შეთანხმებულად მოვუგებთ ივანიშვილს, შემდეგ კი დავნიშნავთ ვადამდელ არჩევნებს სწორედ პროპორციული სისტემით, როგორც ეს კონსტიტუციით არის განსაზღვრული.

***– გამოდის, ვადამდელ არჩევნებს არ გამორიცხავთ.***

– არ გამოვრიცხავ. ივანიშვილს ძალიან კარგად ვიცნობ, მე მასთან ინტენსიური ურთიერთობა მქონდა და ვიცი, რა ვარიანტებს შეიძლება ის ახლა განიხილავდეს. ერთ-ერთი სწორედ ვადამდელი არჩევნები შეიძლება იყოს, ამიტომ მას არ გამოვრიცხავ.

***– ივანიშვილი ოპოზიციის წევრების გადაბირებას არ შეეცდება?***

– დიდი ხანია, ის პატარ-პატარა პარტიების მოსყიდვას ცდილობს, მაგრამ ეს არაფერს მოუტანს მას. ამით ის დისონანსს ვერ შეიტანს დიდ ოპოზიციურ ერთობაში.

როდესაც მოქალაქეებს გადაწყვეტილება მიღებული აქვთ, მერე უკვე ძალიან ძნელია, რა ბერკეტიც არ უნდა გამოიყენოს ბიძინა ივანიშვილმა, რამე მოახერხოს. ამიტომ, როდესაც ძალა ერთობაშია და როდესაც ყველა ერთის წინააღმდეგ არის, მაშინ ასეთი სვლები, მანევრები არ ჭრის.

ასეთი ერთიანი ოპოზიცია მე არ მახსოვს 90-იანი წლებიდან მოყოლებული. ჩვენ მყარად ვდგავართ ერთად და სწორედ ასე ერთიანი ძალით დავამარცხებთ ივანიშვილს.

***– სააკაშვილთან საუბარში თუ იყო განხილული 2003 წლის მოვლენების მსგავსი სცენარი? რევოლუციური სცენარი.***

– უნდა გითხრათ, რომ მე ძალიან დიდი პოლიტიკური გამოცდილება მაქვს, მაგრამ ასეთი საუბარი არ ყოფილა სააკაშვილთან. იმიტომ გითხარით, ძალიან დიდი პოლიტიკური გამოცდილება მაქვს, რომ ვიცი, რევოლუციებს არ აწყობს არც ხალხი და არც ოპოზიცია. როგორც წესი, რევოლუციებს თავად ხელისუფლება აწყობს.

2003 წელს რევოლუცია ედუარდ შევარდნაძემ მოაწყო. აჭარაში, ასევე, რევოლუცია ასლან აბაშიძემ მოაწყო. არც მაშინ შედიოდა ოპოზიციის გეგმებში რევოლუცია. დღესაც არ შედის ოპოზიციის გეგმებში რევოლუცია, მაგრამ ეს მხოლოდ ბიძინა ივანიშვილზე იქნება დამოკიდებული და სხვა არავისზე.


შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

2020, 21 იანვარი, №16

# ამირან სალუქვაძე: „ოცნების“ რეიტინგი რომ დაცემულია, ამას თვითონ პარტიაც არ უარყოფს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სამხედრო-პოლიტიკური ექსპერტი **ამირან სალუქვაძე** პასუხობს.

***— ბატონო ამირან, „ენდიაის“ გამოკითხვებს როგორ აფასებთ? 20% ამბობს, მათ შეხედულებებთან არც ერთი პარტია არ დგას, მათ შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მდგარ პარტიად „ოცნებას“ 19% მიიჩნევს. ნაციონალებს – 13%, ევროპული საქართველოს – 7%. გამოდის, ჯამში ნაციონალები და ევრონაცები „ოცნებას“ უსწრებენ, თუ რა ხდება?***

– ეს ციფრები იმდენად გაუგებარია რეალობაში, რომ მსჯელობა რთულია. თუ სწორად მახსოვს, მოსახლეობის 5% ამბობს, რომ მისთვის ახლოს არის გარკვეული პარტია გარკვეული შეხედულებებით (ანუ რესპონდენტი არ ასახელებს პარტიას, მაგრამ კონკრეტულ პარტიას გულისხმობს), მაგრამ არჩევნებზე ხმას არ მისცემს. მიკვირს, თუ ადამიანს არჩეული აქვს პარტია და თვლის, რომ მის შეხედულებებთან ახლოსაა, რატომ არ მისცემს ამ პარტიას ხმას.

სოციოლოგიაში ცუდად ვერკვევი, მაგრამ მოსახლეობის 4-5% ამბობს, რომ მას არ სმენია ისეთი ლიდერების შესახებ, როგორებიცაა გახარია, სააკაშვილი, ნათელაშვილი და ა.შ. არ ვიცი, რა წრეებში, სად ატარებენ გამოკითხვებს. როგორ შეიძლება საქართველოს მოსახლეობის 5%-მა არ იცოდეს, ვინ არის პრემიერ-მინისტრი.

როგორ შეიძლება ბოლო 15 წელი პირი იყოს ჯერ პრეზიდენტი (9 წელი), შემდეგ მუდმივად ყველა არხზე ლამის ყოველდღე ტრიალებდეს როგორც ექსპრეზიდენტი და რესპონდენტი და ვინმემ არ იცოდეს, ვინ არის მიხეილ სააკაშვილი.

როგორ შეიძლება ნათელაშვილი, რომელიც დამოუკიდებლობის მთელ ამ ისტორიაში მუდმივად ლიდერი იყო და მუდმივად ტელეეკრანებზეა, ვინმემ არ იცოდეს. თუ სწორად მახსოვს, ნათელაშვილს 29% უწერია, მის პარტიას კი 5%. ესეც გაუგებარია. თუმცა, მესმის, რომ შეიძლება ლიდერი მოგწონდეს და მის პარტიას ხმა არ მისცეს, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში სხვაგვარადაა. ეს ხომ არ არის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევა, რომ დავუშვათ, მაჟორიტარულში ერთ ლიდერს მისცე ხმა, პარტია სხვა აირჩიო.



როცა პარტიის ლიდერზეა ლაპარაკი, დავუშვათ, ვისაც მიხეილ სააკაშვილი მოსწონს, ის მის პარტიასაც მისცემს ხმას. თუ ნათელაშვილი მოსწონს და მის პარტიას ხმას არ აძლევს, გაუგებრობაა.

***— ცნობილია, რომ წლების განმავლობაში მათი გამოკითხვები არ ემთხვევა საარჩევნო შედეგებს. მიუხედავად ამისა, მუდმივად ატარებენ კვლევებს და საზოგადოებას აცნობენ. ციფრებით მანიპულირებენ?***

– არ მინდა „ქართული ოცნებისა“ და მათი ოპონენტების ტექსტით ვილაპარაკო და მათ დისკუსიებში ჩავერთო. მხოლოდ იმას ვამბობ, რაც ჩემთვის გაუგებარია. როგორ შეიძლება 5 და 4 კი არა, 1%-იც კი არსებობდეს საქართველოში ადამიანებისა, რომლებმაც არ იციან სააკაშვილი ვინ არის. დღეს უკრაინაში რომ ჩაატარონ გამოკითხვა, იქ არ იქნება 4%, რომელსაც არ ეცოდინება, სააკაშვილი ვინ არის.

შეიძლება ადამიანს სააკაშვილზე დეტალური ინფორმაცია არ ჰქონდეს, მაგრამ ამ პოლიტიკოსის შესახებ რომ არ მსმენია, ასეთი რამ წარმოუდგენლად მიმაჩნია. მსგავსი კითხვები მათ კვლევებში ბევრია. არ ვიცი, სად ატარებენ გამოკვლევებს, რა წრეებში, რა თემებში. რეიტინგები ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას – არა. ეს ცალკე თემაა, მაგრამ ასეთი კითხვები მაქვს ძალიან ბევრი. შესაბამისად, წარმოდგენილ მასალას კვლევად ვერ განვიხილავ.

***— ისე, საინტერესოა, თუ ნაცმოძრაობის რეიტინგი პლუს ევროპული საქართველოსი ჯამში, „ოცნების“ რეიტინგს უსწრებს, რუსთაველზე პროტესტის დროს ხალხი რატომ ვერ გამოიყვანეს?***

– კითხვები ბევრია. ყველაფერს არჩევნები დაგვანახებს. არ ჩამოყალიბდნენ ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც საარჩევნო შედეგებთან მეტნაკლებად მიახლოებულ შედეგებს დადებდნენ, რაც ძალიან ცუდია. ამას ყოველდღე გამოიყენებს როგორც მოქმედი, ასევე მომავალი ნებისმიერი ხელისუფლება და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს მსგავს კვლევებს, რადგან ტარდება არჩევნები და მისი შედეგები აბსოლუტურად განსხვავებულ შედეგებს აჩვენებს.

***— თუ ამ გამოკითხვის შედეგებს ყურადღებას არ მივაქცევთ. „ოცნების“ რეიტინგი წინა პერიოდებთან შედარებით, ამდენად არ შეიძლება იყოს დაცემული?***

– „ოცნების“ რეიტინგი იმდენად არის დაცემული, როგორც კვლევებშია თუ ნაკლებად, ამას 2020-ის არჩევნები დაგვანახებს. თუმცა, რეიტინგი რომ დაცემულია, ამას თვითონ „ოცნებაც“ არ უარყოფს. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პოლიტიკური პარტია თუ ლიდერი, დროთა განმავლობაში ყოველთვის კარგავს რეიტინგს.

ნებისმიერი დასავლური სახელმწიფოს მაგალითი რომ ავიღოთ, იგივე შეერთებულ შტატებში, ყოველთვის ასე ხდება. ვთქვათ, ბარაკ ობამას, ტრამპისა და სხვა პრეზიდენტების რეიტინგი არ არის ისეთი, როგორიც იყო დასაწყისში. შეიძლება, ეკონომიკური რეფორმებიდან და მისი საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე, რეიტინგი მერყეობდეს.

მეორეა, რამდენად სწორად ზომავენ ქვეყანაში რეიტინგის ვარდნას და ზოგადად, პოლიტიკურ ტემპერატურას. ეს უნდა იწვევდეს საზოგადოების მაღალ ნდობას. როდესაც კვლევებში ასეთ ნიუანსებს აწყდები, სიღრმისეულ ანალიზს აღარ აკეთებ, ინტერესს კარგავ.

***— კვლევის შედეგებს თავი დავანებოთ. თქვენ თქვით, „ოცნებაც“ აღიარებს, რომ მათი რეიტინგი გარკვეულწილად დაცემულიაო. „ოცნების“ რეიტინგის დაცემა რამ გამოიწვია, გარკვეულმა შეცდომებმა თუ არაპოპულარულმა გადაწყვეტილებებმა?***

– უამრავი მიზეზია, მიზეზების მთელი ჯგუფებია, რის გამოც ქვეყანაში „ოცნება“ იქნება, თუ სხვა ხელისუფლება, მისი რეიტინგი ეცემა. პირველ რიგში, რამდენად გამართლდა ის მოლოდინები, რომელიც არსებობს ახალი პოლიტიკური ძალის მიმართ და რამდენად მიიღო საზოგადოებამ ის, რისი მიღებაც სურდა. რეიტინგის დაცემის მიზეზია ასევე შიდა გარემო.

***— რას გულისხმობთ?***

– ჩვენ თვალყურს ვადევნებთ საკმაოდ სერიოზულ საინფორმაციო ომს ორ დაპირისპირებულ პოლუსს შორის. განსაკუთრებით, პირველ წლებში „ოცნებას“ მისმა ოპონენტებმა საინფორმაციო ომი მოუგეს.

***— მოგებაში რას გულისხმობთ?***

– განსაკუთრებით პირველ წლებში საინფორმაციო სივრცე მთლიანად ხელისუფლების ოპონენტებს ეკავათ. ფაქტობრივად, „ოცნებას“ ამ კუთხით ჩაგრავდნენ. დღეს ცოტა დაბალანსდა და გადაიფარა ის მდგომარეობა, რაც მანამდე იყო – მეტად აღწევს ხელისუფლება საინფორმაციო სივრცეში თავისი სათქმელის თქმას.

ამდენად, ხელისუფლების რეიტინგის დაცემის მიზეზთა ერთი ჯგუფია, მოსახლეობას სახელისუფლებო ძალამ რამდენად გაუმართლა დაპირებების შესრულების მხრივ. მოსახლეობას ყოველთვის აქვს გარკვეული მოლოდინები. ეს მოლოდინები ხან უმართლდება, ხან – არა. ეს პირდაპირ აისახება ნებისმიერი პოლიტიკური ძალის, მათ შორის, „ქართული ოცნების“ რეიტინგზე.

მეორე ფაქტორია საინფორმაციო დაპირისპირება, რომელიც ყველა შემთხვევაში აზიანებს რეიტინგს, როდესაც საინფორმაციო ომს შენს ოპონენტებთან აგებ. სხვა მიზეზებიც შეიძლება ჩამოვთვალოთ, მაგრამ პირველ მიზეზში გაერთიანებულია ხელისუფლების საქმიანობა, მისი ეფექტიანობა, ეფექტიანობის აღქმა მოსახლეობის მხრიდან და მოლოდინების გამართლება. ერთია, ხელისუფლება ვერ არის ისეთი ეფექტური, როგორი მოლოდინიც ჰქონდა მოსახლეობას, მეორეა, მის ეფექტიანობასაც კი ვერ აჩვენებს. მოსახლეობასთან შენი სათქმელი ვერ მიგაქვს.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ზაალ უდუმაშვილი: „ამერიკიდან „ოცნებას“ გამადიდებელი შუშით აკვირდებიან“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ბობს ადამიანი, რომელსაც ბოლომდე გადაეფარება. თუ ის ჩათვლის საჭიროდ, რომ კალაძე გარკვეულწილად ემუქრება მის პოლიტიკურ კეთილდღეობას, მაშინ, რა თქმა უნდა, ის ამ გადაწყვეტილებას მიიღებს. ივანიშვილი აბსოლუტურად ყველას გაწირავს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს საკუთარი ძალაუფლება და გაიმყაროს ეს ძალაუფლება. კალაძე რეალურად არის მის გუნდში ის ფიგურა, რომელმაც შეიძლება რაღაც საფრთხე შეუქმნას. მთლად კონკურენტად ვერ განვიხილავთ, მაგრამ მისთვის გარკვეული კონკურენციის ნიშნები გააჩნია.

***— თქვენ, ოპოზიცია თუ განიხილავთ კალაძესთან თანამშრომლობას, თუ ის მართლა გადაწყვეტს ოპოზიციაში წასვლას და ივანიშვილთან დაპირისპირებას? რას გადაწყვეტთ თუ რეალობაა ის განცხადება, რაც ალეკო ელისაშვილისგან მოვისმინეთ?***

– მე არ ვიცი ვისთან აწარმოებს კალაძე მოლაპარაკებებს, ეს ნამდვილად არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხს ჩვენ საერთოდ არ განვიხილავთ. „ქართულმა ოცნებამ“ ჯერ პასუხი აგოს იმ დანაშაულებზე, რაც ჩაიდინა საქართველოში ამ რვა წლის განმავლობაში მოსახლეობის წინაშე. თითოეულ ლიდერს მოეთხოვება პასუხი ამაზე. მათ შორის კალაძე არა მარტო თბილისის მერია, არამედ „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანია და მასზეც არის პასუხისმგებლობა.

გემი როდესაც იძირება, ვირთხები გარბიან და თუ დაიწყო ეს პროცესი, ნამდვილად არ გვინდა, რომ ჩვენ მაშველი რგოლი ვიყოთ. ამისთვის ვერ გამოვდგებით არც ერთი მათგანისთვის.

***— ანუ ოპოზიცია ამ გარიგებას არ იღებთ? ასე უნდა გავიგო თქვენი პასუხი?***

– არა მგონია, რომ ვინმემ მიიღოს ეს გარიგება. მე ვფიქრობ, რომ ეს არის ძალიან დაგვიანებული ნაბიჯია, თუ კალაძე გადაწყვეტს ოპოზიციაში წასვლას.

***— რაც შეეხება საარჩევნო საკითხებს, ხელისუფლება ჯიუტად გთავაზობთ, რომ 50 მაჟორიტარი დავტოვოთ, დანარჩენი კი პროპორციულით, ხოლო თუ ამას არ მიიღებთ, ისევ 73 მაჟორიტარი იქნება არჩეული მაჟორიტარული წესითო. თქვენთვის ამ წინადადებაში რამე მისაღები არის?***

– არანაირად არ არის მისაღები. ეს ისევ იმ სისტემის დატოვებაა, რაც დღეს არსებობს. 73 მაჟორიტარიდან 20 მაჟორიტარს თუ შეელევიან, ეს არ ცვლის სიტუაციას. ჩვენი მოთხოვნა იყო და არის, რომ ქვეყანა უნდა გადავიდეს პროპორციულ არჩევნებზე. თუ უნდოდა რაიმე კომპრომისზე წამოსვლა ხელისუფლებას, ჩვენ ამისთვის შევთავაზეთ კონკრეტული მოდელი, რომელიც გარკვეულწილად შუალედური იყო, ვიდრე ქვეყანა გადავიდოდა პროპორციულ სისტემაზე. ესეც მიუღებელი აღმოჩნდა მათთვის და გასაგებია რატომაც. იმიტომ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მარცხდებოდნენ არჩევნებში. ამიტომ, კვლავ იგივე სისტემას ტოვებენ. ეს მათი გადაწყვეტილებაა და ჩვენ ნამდვილად არ ვაპირებთ შეგუებას. ვპირდები ხელისუფლებას, რომ ნამდვილად არ ექნება იოლი გაზაფხული, თუ ეს გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

***— თქვენ, როგორც მიხეილ სააკაშვილის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, როგორ ფიქრობთ, ხომ არ აზარალებს ხოლმე ზოგჯერ მისი განცხადებები პროცესს? ცოტა ხნის წინ 20 ივნისის კონტექსტში გაკეთებული განცხადება გამოიყენა სათავისოდ „ოცნებამ“, ან რამდენად მისაღებია თქვენთვის გიორგი გაბუნიასთან მისი დისკუსია?***

– გიორგი გაბუნიასთან დისკუსიას რაც შეეხება, ეს ჟურნალისტის და მიხეილ სააკაშვილის პირადი მოსაზრებები იყო და ეს არ არის პარტიული საქმიანობის ნაწილი. რაც შეეხება მის განცხადებებს, ნებისმიერ მის განცხადებას „ქართული ოცნება“ სულ სხვანაირ კონტექსტში წარმოაჩენს და სხვა ინტერპრეტაციას უკეთებენ ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი საქართველოში არ იმყოფება, ძალიან აქტიურად არის ჩართული ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. მის ყველა განცხადებას აქვს რეზონანსი, გამომდინარე იქიდან, რომ „ქართული ოცნების“ მხრიდან მოჰყვება ხოლმე რეაგირება. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან ეშინიათ მისი და სწორადაც ეშინიათ. უნდა თუ არა „ქართულ ოცნებას“, სააკაშვილი მაინც ძალიან აქტიური იქნება.

***— თქვენ არ ფიქრობთ, რომ ოპოზიციის საქმეს ზოგჯერ აზიანებს ხოლმე?***

– არა, მე ასე არ ვფიქრობ. მიხეილ სააკაშვილი არის დამოუკიდებელი პოლიტიკოსი. ის არის ჩვენი პარტიის გამორჩეული ლიდერი, ის არის საქართველოს მესამე პრეზიდენტი და, ბუნებრივია, რომ მას ყველაფერზე აქვს თავისი შეხედულებები და ამბობს იმას, რასაც ფიქრობს და როგორც აფასებს მოვლენებს.

***— იმაშიც ეთანხმებით მას, რომ ის არ ყოფილა ერთპიროვნული მმართველი არასოდეს?***

– ბუნებრივია. ქვეყანაში, დღევანდელი ხელისუფლებისგან განსხვავებით, მაშინ სახელმწიფო ინსტიტუტები მუშაობდა ბევრად უფრო გამართულად, ვიდრე ეს დღეს არის. ერთპიროვნული მმართველი სააკაშვილი არ ყოფილა ქვეყანაში. იყვნენ ადამიანები, რომლებიც იღებდნენ გადაწყვეტილებებს და ეს გამოარჩევს ივანიშვილის ხელისუფლებას წინა ხელისუფლებისგან, სადაც მხოლოდ ივანიშვილი იღებს გადაწყვეტილებებს.

# ოკუპირებულმა ცხინვალმა ვლადიკავკაზთან ინტეგრაცია დაიწყო

## „პუტინის განცხადებამ მოგვცა სტიმული, გავაქტიურდეთ ქართველების მიერ ოსების გენოციდის აღიარების საკითხში“

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი, რომელმაც წინა წლებში რამდენჯერმე წამოსწია რუსეთის ფედერაციაში შესვლის საკითხი, ვლადიკავკაზთან ინტეგრაციას აანონსებს.

უახლოეს ხანში დაგეგმილია შეთანხმების ხელმოწერა ცხინვალის რეგიონისა და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოებს შორის. ამ დოკუმენტზე მუშაობა ათი წელიწადია მიმდინარეობდა.

– შეთანხმების პუნქტები ხსნის სივრცეს ინტეგრაციისათვის, – აცხადებს საქართველოს ოკუპირებული რეგიონის პარლამენტის სპიკერი ალან ტადტაევი.

მისი განმარტებით, ამ ფორმატით „სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთი“ მჭიდროდ ითანამშრომლებენ, ოპერატიულად ირეაგირებენ ყველა პრობლემაზე, რომელიც აფერხებს „ოსეთის ორი ნაწილის შემდგომ ინტეგრაციას“.

პარლამენტები გენოციდის საკითხზეც ერთობლივად იაქტიურებენ.

ცხინვალის რეჟიმის მტკიცებით, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1920 წელს მოაწყო ოსების გენოციდი. წელს ცხინვალი გენოციდის 100 წლისთავს აღნიშნავს.

არ არის გამორიცხული, რომ ოსების გენოციდში ქართველები რუსეთის სახელმწიფო დუმამაც დაადანაშაულოს. ამაზე დუმაში შექმნილი სპეციალური კომისია მუშაობს.

საგანგებო კომისია ცხინვალმაც შექმნა. კომისია შეიმუშავებს ღონისძიებებს გენოციდის მსხვერპლთა უკვდავყოფისა და მემორიალიზაციისათვის.

ცხინვალის დე ფაქტო პრეზიდენტის ე.წ. სახელმწიფო მრჩეველი, ისტორიკოსი კონსტანტინე ფუხაევი არ მალავს, რომ გენოციდის საკითხზე პუტინის სიტყვების შემდეგ გააქტიურდნენ.

2019 წლის ზაფხულში, „გავრილოვის ამბებისა“ და რუსული სატრანსპორტო-ტურისტული ემბარგოს გამოცხადების შემდეგ, კრემლის ლიდერმა ახსენა, რომ ქართველებმა ოსებს გენოციდი მოუწყვეს.

ამ თემაზე თბილისიდან პასუხი არ ყოფილა.

– პუტინმა მკაფიო განმარტება მისცა 1920 წლის მოვლენებს და მათ გენოციდი უწოდა. ამ ინტერვიუმ სტიმული მისცა გენოციდის აღიარების საკითხზე საქმიანობის აქტივიზაციას, – აღნიშნავს ფუხაევი.

იგი იმასაც ამბობს, რომ ცხინვალისთვის სტიმული აღმოჩნდა ასევე 2019 წელს აშშ-ის მიერ სომეხი ხალხის გენოციდის აღიარება.

ბიბილოვის ადმინისტრაციის წარმომადგენელი საუკუნის წინანდელ მოვლენებს არ სჯერდება და საქართველოს უარეს ბრალდებებს უყენებს.



მისი თქმით, ქართველები ოსებს პერმანენტულ გენოციდს უწყობდნენ. 2008 წელსაც გენოციდი იყო. საბჭოთა კავშირის პერიოდში გენოციდმა სახე იცვალა:

– საბჭოთა დროს გენოციდი შესუსტდა. მაშინ მან მიიღო რბილი გენოციდის-ეთნოციდის სახე.

ცხინვალის რეჟიმი ვლადიკავკაზის და კრემლის დახმარებით აპირებს, გენოციდის ამბავი მსოფლიოს გააგებინოს. თუმცა, აქ ოსები სომხებს ყველაფერში არ მიბაძავენ.

– ამისათვის ყველა მეთოდი არ გამოგვადგება. მშვიდობიანი ხალხი ვართ და არ მივმართავთ მეთოდს, როცა სხვადასხვა დროს გაანადგურეს სომხების გენოციდის მონაწილეები. ჩვენ საერთაშორისო არენაზე დიპლომატიის ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ. ამაზე უნდა ვილაპარაკოთ მხატვრული და კულტურული ღონისძიებების მეშვეობით, გამოვიყენოთ სამეცნიერო პოტენციალი საერთაშორისო მოედნებზე, – აცხადებს საოკუპაციო რეჟიმის სახელით ფუხაევი.

მართალია, რუსეთს ეს გენოციდი ოფიციალურად არ უღიარებია, მაგრამ რუსეთის რამდენიმე ტელეკომპანია ამზადებს ამაზე ფილმს.

როგორც ირკვევა, გენოციდის ცნობისთვის ცხინვალის რეჟიმს საკმარისი დოკუმენტური მასალები და მტკიცებულებები არ გააჩნია.

თბილისის არქივებთან მათ წვდომა არა აქვთ. არის მოსაზრება, რომ შესაბამისი საარქივო მასალები ნოე ჟორდანიას მთავრობამ ემიგრაციაში გაანადგურა. მათ იმედი აქვთ, რომ რუსეთის ფედერაციას ბევრი არქივი აქვს და ხელის ჩასაჭიდს იქ მოძებნიან.

მტკიცებულებების უქონლობის ფონზე ქართველების დადანაშაულება გენოციდში აშკარად პოლიტიკურ ხასიათს ატარებს.

ამაზე ოფიციალური თბილისი ისევ დუმს.

# ზურაბ ბუდაღაშვილის ძმა მოსამართლემ სასამართლო დარბაზიდან გააძევა და 200 ლარით დააჯარიმა




20 ივნისის საქმეზე დაკავებულების სასამართლო პროცესიდან ბრალდებულ ზურაბ ბუდაღაშვილის ძმა, გიორგი ბუდაღაშვილი წესრიგის დარღვევის გამო გააძევეს და 200 ლარით დააჯარიმეს.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე ალექსანდრე იაშვილმა მიიღო.

– კიდევ აღარაფერი დაგრჩათ, რომ დამაქციოთ? – მიმართა გიორგი ბუდაღაშვილმა მოსამართლეს სხდომათა დარბაზიდან გასვლისას.

გუშინ, 20 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოში პოლიციის თანამშრომელი დაკითხეს, რომელმაც განაცხადა, რომ „წითელ მაისურში ჩაცმული მამაკაცი აგრესიულობით გამოირჩეოდა და მის თანამშრომელს ფარი გასტაცა“.

20 ივნისის საქმეზე ზურაბ ბუდაღაშვილი, ბესიკ თამლიანი, ცოტნე სოსელია და კახაბერ კუპრეიშვილი არიან დაკავებული. მათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვთ შეფარდებული.

დაკავებულ პირებს ბრალი ედებათ ჯგუფურ მოქმედებში მონაწილეობაში, რასაც თან ახლდა რბევა, ძალადობა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა.

აღნიშნული ბრალი 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ვახტანგ რობაქიძე: „ანრი ოხანაშვილი დამემუქრა, მე გაჩვენებ, ვინ ვარ და რას დაგმართებო“

## „6 დღე საკანში მაწამეს, ფაქტობრივად, უჭმელი ვიჯექი“

ანრი ოხანაშვილის საქმეზე დაკავებული ვახტანგ რობაქიძე აცხადებს, რომ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ მას შეაგინა და დაემუქრა. აღნიშნულის შესახებ ვახტანგ რობაქიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.




რობაქიძემ, რომელსაც ახალციხის რაიონულმა სასამართლომ 7.000 ლარიანი გირაო შეუფარდა, პენიტენციური დაწესებულება 19 იანვარს დატოვა. როგორც ბრალდებული აღნიშნავს, იმ მომენტში, როცა ინციდენტი მოხდა, მას ოხანაშვილის ოჯახის წევრები, მათ შორის, მისი არასრულწლოვანი შვილები არ დაუნახავს.

– ანრი ოხანაშვილი შვილებთან ერთად რომ იყო, არ დამინახავს. ის რამდენიმე მაგიდით იყო ჩემგან დაშორებული, დაჯდომისთანავე პირდაპირ ანრი დავინახე, მის მაგიდასთან არ მივსულვარ და არ მიმიმართავს, ჩემი მაგიდიდან დავუძახე, შენ ხარ სამშობლოს მოღალატე-მეთქი.

კაფეში ბევრი ადამიანი იყო და პირადად ანრი ოხანაშვილს მივმართე. ის ჩვენებაში იმასაც მიუთითებს, ჩემს შვილებსაც და მეუღლესაც ემუქრებოდაო. სულ არ ვიცი, ანრის შვილები, მეუღლე ჰყავს თუ არა. გინებაზე გადავიდა ჩემი მისამართით. მხოლოდ შელაპარაკება მოხდა, არანაირ ფიზიკურ დაპირისპირებას, ან მსგავს რამეს ადგილი არ ჰქონია.

გასვლისას მომაძახა, მე გაჩვენებ შენ, ვინ ვარ და რას დაგმართებო. ნახევარ საათში პოლიცია მოვიდა და ძალადობრივი მეთოდებით დამაკავეს, – განაცხადა რობაქიძემ.

კითხვაზე, აპირებს თუ არა, თავადაც მიმართოს გამოძიებას ოხანაშვილის წინააღმდეგ, რობაქიძე აცხადებს, რომ ამას იურისტებთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყვეტს, თუმცა, აღნიშნულს არ გამორიცხავს.

– შეიძლება ასეც მოხდეს, არ გამოვრიცხავ, იურისტებთან ერთად გავივლი ყველაფერს. დღეს გამოკითხვაზე ვარ დაბარებული, დეტალურად შეისწავლიან ინციდენტს, დაწყების მომენტიდან. ასევე ვასაჩივრებთ მოსამართლის გადაწყვეტილებასაც, ასევე ჩემ მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ დაპირისპირებასთან დაკავშირებით საქმეში ჩართულია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. დღეს უნდა ჩამიტარონ სამედიცინო ექსპერტიზაც დაზიანებასთან დაკავშირებით. დაზიანება პოლიციაში ერთ-ერთმა პირმა მომაყენა, ჩემ მიმართ განყოფილების უფროსი ძალიან აგრესიული იყო.

გამოძიება დაადგენს ყველაფერს, ვინ აყენებდა პოლიციას ამ მდგომარეობაში, – განაცხადა რობაქიძემ.

გუშინვე ვახტანგ რობაქიძე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გამოკითხვაზე მივიდა.

– რამდენჯერმე ვცადე ალკო ტესტში ჩაბერვა, თუმცა შკალები არ ივსებოდა და ამ დროს გალიზიანებულმა პირმა მუცელში ჩამარტყა. დამეწყო სისხლდენა და მოვითხოვე სასწრაფო, თუმცა არ გადამიყვანეს საავადმყოფოში. უამრავი ადამიანი ცდილობდა ზეწოლას, რომ აღიარებითი ჩვენება მიმეცა. 6 დღე საკანში მაწამეს, ფაქტობრივად, უჭმელი ვიჯექი, – განაცხადა ვახტანგ რობაქიძემ.

რამდენიმე დღის წინ, დეპუტატი ანრი ოხანაშვილი ბაკურიანში, ერთ-ერთ რესტორანში ოჯახთან ერთად ვახშმობდა, როდესაც ვახტანგ რობაქიძესა და ოხანაშვილს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა.

რობაქიძე სამართალდამცავებმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით დააკავეს, რაც პოლიციისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს. მას 3-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა.

ამასთან, ვახტანგ რობაქიძეს ანრი ოხანაშვილის საქმეზე ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე და 239-ე მუხლებით წარუდგინეს, რაც მუქარასა და ხულიგნობას გულისხმობს.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ვახტანგ რობაქიძეს ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

# რუსთავში სიძის მკვლელობისთვის ა.ი.-ს 13 წელი მიესაჯა



ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებულს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული ა.ი. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 23 ივნისს, ა.ი.-ს სიძემ ბ.ნ.-მ, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მეუღლეს მ.ი.-ს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

„ქალიშვილის შეურაცხყოფით განაწყენებულმა ა.ი.-მ, შურისძიების მიზნით, ბ.ნ.-ს დანით მუცლის არეში ჭრილობა მიაყენა. მიღებული დაზიანების შედეგად ბ.ნ. გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ა.ი. 2019 წლის 24 ივნისს ქ. რუსთავში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11'.109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ა.ი. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 13 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ნარკოდანაშაულისთვის აჭარაში 2 პირი დააკავეს




შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების და დეტექტივების სამმართველოების თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი დააკავეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.

მათი ინფორმაციით, დაკავებულები 1985 წელს დაბადებული გ.გ. და 1988 წელს დაბადებული მ.ვ. არიან. შსს-ს ცნობით, სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილზე შეაჩერეს. პოლიციამ დაკავებულების პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღო 110 აბი „მეტადონის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება, ასევე, „ჰეროინის“ და „მეტამფეტამინის“ შემცველი ნარკოტიკები. დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს. დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# სამეგრელოში უაქციზო თამბაქოს ტრანსპორტირების ფაქტი გამოვლინდა

სამეგრელოში უაქციზო თამბაქოს ტრანსპორტირების ფაქტი გამოვლინდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს დასავლეთის განყოფილების თანამშრომლების მიერ, ქალაქ ზუგდიდში, განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უაქციზო სიგარეტის (8 000 ღერი) ტრანსპორტირების ფაქტი გამოვლინდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს საქონელი ჩამოერთვა.

„საქმის მასალები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 241-ე მუხლის შესაბამისად, ქვემდებარეობით შესაბამის სასამართლოს გადაეგზავნა“ – აცხადებენ უწყებაში.

# 31 დეკემბერს დაკავებული პირების საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებას 22 იანვარს გამოაცხადებს

გუშინ, 20 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოში 31 დეკემბერს დაკავებული პირების: ბექა კოკაიას, გიორგი მუმლაძის, ზურაბ ბერძენიშვილის, ზურაბ მჟავანაძის და ლაშა ბურდულის საქმის განხილვა დასრულდა.

პროცესზე ვიდეომტკიცებულებები გამოიკვლიეს.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ საქმის მოსამართლემ, ივანე აღნიაშვილმა განაცხადა, საქმეზე გადაწყვეტილებას 22 იანვარს, 17:00 საათზე გამოაცხადებს.

სხდომის დასრულების შემდეგ დაკავებულების ადვოკატმა, ედუარდ მარიკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილ ვიდეომტკიცებულებებში სრული ეპიზოდი იყო ასახული, თუმცა დაკავებულების შესაძლო დანაშაული მასში არ ჩანდა.

მისივე თქმით, სხდომის დაწყებამდე გაიგონა, როგორ საუბრობდა ტელეფონზე პოლიციელი და ამბობდა: „დარბაზში ზის ის, ვინც უნდა დააჯარიმო“.

– შემოსვლისას დამრჩა განცდა და გავიგე ასეთი რამ, პოლიციელი ამბობდა [ტელეფონზე], რომ დარბაზში ზის ის, ვინც უნდა დააჯარიმო. არაფრის დადასტურება არ მინდა. სასამართლოს ვთხოვე, რომ ის განცდა, რაც ამ სიტყვების გაგონების შემდეგ შეიძლება ადამიანს გაუჩნდეს, არ დაადასტუროს მისი გადაწყვეტილებით, – განაცხადა ადვოკატმა.

31 დეკემბერს სამართალდამცავებმა რამდენიმე სამოქალაქო აქტივისტი დააკავეს. აქტივისტები პარლამენტის შენობის წინ კარვების აღებას და მათ ნაცვლად ატრაქციონების განთავსებას აპროტესტებდნენ.

დაკავებულების მიმართ გამოძიება ადმინისტრაციული კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებით მიმდინარეობს, რაც 15 დღით თავისუფლების აღკვეთას ან ფინანსურ სანქციას გულისხმობს.

# ამირან სალუქვაძე: „ოცნების“ რეიტინგი რომ დაცემულია, ამას თვითონ პარტიაც არ უარყოფს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***– შეცდომებსა და არაპიარულ გადაწყვეტილებებზე რას იტყვით?***

– ეს შედის მოსახლეობის აღქმაში, ანუ მოსახლეობისთვის რამდენადაა მისაღები ესა თუ ის პოლიტიკური ძალა, რამდენად გაუმართლა ადამიანებს მოლოდინები.

***– ბატონო ამირან, მაგალითად, გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ, მაგრამ „ოცნების“ მხრიდან რამდენად პოპულარული იქნება გადაწყვეტილება შოთაძის გენპროკურორად დაბრუნებაზე და რამდენად წაადგება ხელისუფლების რეიტინგს?***

– დავაკვირდეთ ხალხის რეაქციას. მესმის „ოცნების“ პოლიტიკური ოპონენტების – ისინი ნებისმიერი საკითხის „ოცნების“ საწინააღმდეგოდ შემოტრიალებას ცდილობენ. კონკურსში შოთაძის გარდა, 13 კანდიდატი მონაწილეობს. ვნახოთ, საპროკურორო საბჭო რას გადაწყვეტს. თუმცა, ისეთი განწყობებია, რომ დიდი ალბათობით შოთაძის კანდიდატურას მეორედ ვიხილავთ საქართველოს მთავარი პროკურორის პოსტზე.

აქ ორი მხარეა. ერთი, ადამიანს აქვს თუ არა უფლება, საკუთარი ნებით გადადგომის შემთხვევაში, გამოთქვას სურვილი არჩევით თანამდებობაზე მეორედ იყაროს კენჭი. ასეთი უფლება ყველას აქვს, ვერ ავუკრძალავთ. მეორეა ის საკითხები, რის გამოც მას მოუწია გადადგომა.

ამ საკითხებზე პასუხი საზოგადოებას პირადად შოთაძემ და ხელისუფლებამ უნდა გასცეს. ფაქტია, რომ გამოძიებაში იყო ხარვეზები და საქმეების ხელახალი გამოძიება მოხდა და იმ გამოძიების მსვლელობის მიმართ დღეს ძირითად დაზარალებულებს, განსაკუთრებით, ზაზა სარალიძეს, როგორც მისი პოსტიდან ვგებულობთ, პრეტენზიები არ გააჩნია არც საგამოძიებო სტრუქტურებისა და არც პირადად ირაკლი შოთაძის მიმართ. ჩემთვის ეს არგუმენტებია ამოსავალი წერტილი და არა, ამ საკითხის გაპოლიტიზირება, რომ შოთაძისაგან მონსტრი შეიქმნას და ადამიანს თავისი პროფესიით საქმიანობა აეკრძალოს.

***– ამ საკითხზე საზოგადოების მხრიდან რეაქცია იყო – პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან ახალგაზრდებმა საპროტესტო აქცია გამართეს.***

– პოლიტექნიკურთან მხოლოდ ერთი ჯგუფი იყო. საზოგადოება მხოლოდ ის ერთი ჯგუფი არ არის. გამოძიების იმ ეტაპზე, როდესაც ირაკლი შოთაძეს გადადგომა მოუწია, იყო თუ არა მისი ბრალეულობა იმ ხარვეზებში, ეს საზოგადოებას მან უნდა აუხსნას და, ყველაფერი იქ გამოჩნდება. შოთაძე გადადგა იმის მიუხედავად, რომ მისი პოლიტიკური გუნდი ამ გადაწყვეტილებას არ იზიარებდა.

***– რადგან შოთაძის კანდიდატურის მოწინააღმდეგეებიც არიან, უბრალოდ, იბადება აზრი, ნუთუ ამხელა პარტიაში ერთი ისეთი იურისტი ვერ მოიძებნა, რომ მთავარ პროკურატურაში ახალი კადრი მიიყვანონ.***

– ეგ აზრი მეც მაქვს და ნებისმიერ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს. სამი წლის განმავლობაში იყო მთავარი პროკურორი, შემდეგ გადადგა გარკვეული მიზეზების გამო და, ფაქტია, რომ გამოძიებაში აღმოჩნდა ხარვეზები.

***– პროკურატურაში მომუშავე კადრები მთლიანად შესაცვლელია, ამ მხრივაც ბევრი პრობლემაა.***

– ზოგადად, საკადრო პრობლემებიც არსებობს. ეს ჩვეულებრივი საკითხია. „ოცნების“ ოპონენტები კი საუბრობენ კადრების შიმშილზე, მაგრამ რატომ ხდება ამ გადაწყვეტილების მიღება, ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია.

***– საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ ვიცით.***

– დიახ, შეიძლება საბჭომ შოთაძის კანდიდატურა შესთავაზოს პარლამენტს დასამტკიცებლად, შეიძლება – არა. მე, უბრალოდ, სურვილი გამოვთქვი, პროკურორობის კანდიდატმა მოსახლეობას აუხსნას ის დეტალები, რა მოხდა მაშინ, რატომ მოუწია მას გადადგომა. საწყის ეტაპზე, როდესაც გამოძიებაში ხარვეზები იყო, რამდენად იყო ჩართული.

ჩვენ ვნახეთ დაკავებული პროკურორი, რომელმაც სასჯელი მოიხადა. პროკურორის დაკავება სახუმარო საკითხი არ არის. თუმცა, ახლა ამ საკითხის პოლიტიზირება და შოთაძისაგან რაღაც მონსტრის შექმნა, სწორი არ იქნება. ამ საკითხის ცხელი განხილვები იქნება, ალბათ, და ირაკლი შოთაძე ჩაერთვება მსჯელობებში, რა დროსაც კანდიდატმა უნდა დაანახოს საზოგადოებას თავისი განწყობები და პროფესიონალიზმი.

თუ არის შოთაძის მიმართ კონკრეტული პრეტენზიები, ოპონენტებმა იმაზე ისაუბრონ და არა – გადადგომაზე. საქმიანი დაპირისპირება უნდა იყოს და არა უბრალოდ საკითხის გაპოლიტიკურება და შოთაძისაგან მონსტრის შექმნა.

## მამაკაცმა შეყვარებულზე იეჭვიანა და სახლში ხელყუმბარა შეუგდო




ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში პოლიციამ დააკავა მამაკაცი, რომელმაც, სავარაუდოდ, თავისი შეყვარებული სხვა მამაკაცთან დაინახა და ამის გამო სახლში ხელყუმბარა შეუგდო. ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. ერთ-ერთი მოწმის თქმით, ადგილობრივი დროით დაახლოებით 20:00 საათზე მოტოციკლისტი მრავალბინიანი სახლის მახლობლად გაჩერდა და მესამე სართულზე მდებარე ბინის ღია ფანჯარაში რაღაც ნივთი შეაგდო. შემთხვევის ადგილზე გამოძახებით მისულმა პოლიციელებმა და გამნაღმველებმა ბინაში აუფეთქებელი ხელყუმბარა მ26 აღმოაჩინეს.

ბინის მცხოვრებლები ძალიან შეშინდნენ, როდესაც იატაკზე ხელყუმბარა დაინახეს. სახლის მმართველის ვერსიით, ასაფეთქებელი მოწყობილობა 50 წლის მამაკაცმა შეაგდო, რომელიც იქ მცხოვრებ 20 წლის გოგონაზეა შეყვარებული. ამ შემთხვევის წინა დღეს გოგონამ მშობლებისთვის გასაცნობად თავისი ბოიფრენდი მოიყვანა. ექვმიტანილი პოლიციის განყოფილებაში იმყოფება. სავარაუდოდ, მან თავდასხმა ეჭვიანობის ნიადაგზე განახორციელა. მიმდინარეობს საქმის გამოძიება.

## აზარტული თამაშებით გატაცებული მშობლები კინაღამ ბავშვისა და მანქანის გარეშე დარჩნენ

უპასუხისმგებლო მშობლები აზარტულმა თამაშებმა გაიტაცა და კინაღამ ბავშვი და მანქანა დაკარგეს.

კვირა საღამოს ოჯახური წყვილი ამერიკის ტეხასის შტატიდან მაღაზიასთან შეჩერდა, რომელშიც სათამაშო ავტომატები იდგა. 21 წლის კიმბერლი კუკი და 29 წლის ენტონი ბლიუ სათამაშოდ გაემართნენ და თავიანთი წლინახევრის ბავშვი ჩაუკეტავ მანქანაში დატოვეს. მათ არც ძრავა გამოურთავთ, რომ ბავშვი ავტომობილში არ გაყინულიყო. მათი მტკიცებით, ისინი შვილის სანახავად დროდადრო გამოდიოდნენ. ადგილობრივი დროით დაახლოებით 23:30 საათზე წყვილი ავ-



ტოსადგომზე გამოვიდა და ნახეს, რომ მათი ბავშვი მანქანასთან ერთად გაუჩინარებულიყო. მომხდარის თაობაზე მათ მაშინვე პოლიციას შეატყობინეს.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან 32 კილომეტრში მდებარე პარკის მცველმა ავტოსადგომზე ბავშვი შენიშნა. ის მსუბუქად იყო ჩაცმული და სიცივისგან კანკალებდა. მან სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახა და ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მცველმა ამის შესახებ პოლიციასაც აცნობა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ორმა მოზარდმა, 18 წლის ჯაბარი ჯონათან დევისმა და 19 წლის ვინსენტ ლეონ კანადიმ, მალაზიის ავტოსადგომზე ჩაუკეტავი მანქანა შენიშნეს და გაიტაცეს. მათ ბავშვი უახლოეს პარკში ჩამოსვეს და წავიდნენ. მალე პოლიციის თანამშრომლებმა მანქანას მიაგნეს და გააჩერეს. გამტაცებლები დააპატიმრეს, კუკსა და ბლიუს ბავშვის უყურადღებოდ მიტოვების ბრალდება წაუყენეს. ბავშვს საავადმყოფოში გამოკვლევა ჩაუტარდა. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ბორის ჯონსონი პუტინს აფრთხილებს, ბრიტანეთში ქიმიური თავდასხმა აღარ გაიმეოროს



დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინს უთხრა, რომ რუსეთმა 2018 წლის მსგავსი ქიმიური თავდასხმა აღარ უნდა გაიმეოროს ბრიტანეთში.

საქმე ეხება ე.წ. სკრიპალების საქმეს, როდესაც რუსეთის სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი სერგეი სკრიპალი და მისი ქალიშვილი მოწამლეს. პრემიერის სამსახურის ინფორმაციით, ბორის ჯონსონმა პუტინს განუცხადა, რომ ლონდონსა და მოსკოვს შორის ნორმალური ურთიერთობები ვერ დამყარდება მანამ, სანამ რუსეთი არ დაასრულებს „დესტაბილიზაციურ ქმედებებს“.

„პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაცია ვერ მოხდება, ვიდრე რუსეთი არ დაასრულებს ისეთი დესტაბილიზაციური ქმედებების განხორციელებას, რომელიც საფრთხეს უქმნის გაერთიანებულ სამეფოსა და ჩვენს მოკავშირე ქვეყნებს, რომელიც ძირს უთხრის ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას“ – ნათქვამია განცხადებაში.

ცნობისთვის, ბორის ჯონსონი და ვლადიმერ პუტინი 19 იანვარს ბერლინში შეხვდნენ, სადაც ლიბიის სამშვიდობო მოლაპარაკებები მიმდინარეობდა.

## პარაგვაის ციხიდან 75 პატიმარი გაიქცა



პარაგვაის ციხიდან სულ მცირე 75 პატიმარი გაიქცა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პატიმრებმა მიწისქვეშა გვირაბი გათხარეს, რომლის მეშვეობითაც საპატიმროს თავი დააღწიეს.

გაქცეულთა უმრავლესობა ბრაზილიის კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან. შს მინისტრის ცნობით, გაქცეულები „ძალიან საშიში“ ადამიანები არიან.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ რამდენიმე მათგანმა ბრაზილიაში გადასვლა უკვე მოახერხა.

## შეტაკებები ბეირუთში



ბეირუთის მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა. მანიფესტანტები ხელისუფლების კორუმპირებულობას აპროტესტებდნენ.

პოლიციამ პასუხად სპეცრაზმი გამოიყვანა. დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა წყლის ჭავლი, რეზინის ტყვიები, ხელკეტები.

დაშავდა 460 დემონსტრანტი, აქედან 80 მძიმედ.

## რუსეთის სასტუმროში ცხელი წყლის მილის გასკდომას 5 ადამიანი ემსხვერპლა



რუსეთში, ქალაქ პერმში მდებარე ერთ-ერთ სასტუმროში ცხელი წყლის მილი გასკდა, რის შედეგადაც 5 ადამიანი დაიღუპა. ადგილობრივი საგამოძიებო კომიტეტის ინფორმაციით, 3 ადამიანი მძიმე დამწვრობით საავადმყოფოშია გადაყვანილი. მედიის ცნობით, სასტუმროს იატაკი მდუღარე წყლით დაიტბორა. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## ზამთრის თასი უკრაინამ წაიღო




ბათუმის ახალ სპორტის სასახლეში დავით პეტრიაშვილის სახელობის ზამთრის თასის 2020 წლის გათამაშება დასრულდა.

ზამთრის თასის 2020-ის ლეგენდების ტურნირის ა ჯგუფიდან ნახევარფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება უკრაინისა და თურქეთის ნაკრებებმა მოიპოვეს. ორივე გუნდმა 4 ქულა დააგროვა, თუმცა ბურთების უკეთესი შეფარდებით ჯგუფური ეტაპი პირველ ადგილზე უკრაინელებმა დაასრულეს. ბ ჯგუფი დამაჯერებლად მოიგო საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრებმა. ჩვენმა გუნდმა პირველ შეხვედრაში უეფას გუნდი 5:2 დაამარცხა. მეორე მატჩში კი, ფიფას 5:3 მოუგო და დაგროვილი 6 ქულით ჯგუფი პირველ ადგილზე დაასრულა. საქართველოს ნაკრებთან ერთად ნახევარფინალში უეფას გუნდი გავიდა, რომელმაც უშუალო კონკურენტი ფიფა 6:4 დაამარცხა.

ლეგენდების ტურნირის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს უკრაინისა და უეფას გუნდები დაუპირისპირდნენ. მატჩი უკრაინელთა სრული უპირატესობით წარიმართა და მათი გამარჯვებით, 5:1 დასრულდა. გამარჯვებულთა მხრიდან დუბლი შევჩუკმა შეასრულა, თითო გოლი კი, დონეცმა, ხომინმა და ბელიკმა გაიტანეს. უეფას გუნდიდან პრესტიჟის გოლის ავტორი მილენკო აჩიმოვიჩი გახდა.

საქართველოს ნაკრები ნახევარფინალში თურქეთს დაუპირისპირდა. მატჩი ორმხრივი შეტევებით წარიმართა და გულშემატკივარმა საინტერესო სანახაობა იხილა. ანგარიში მატჩის ალექსანდრე ამისულაშვილმა გახსნა. თურქებმა წონასწორობის აღდგენა მეორე ნახევარში შეძლეს – გოლი თურჰანის ანგარიშზეა. დარჩენილ დროში ჩვენმა გუნდმა კვლავ შეუტია და გამარჯვების გოლი ოთარ მარცვალაძემ გაიტანა.

საქართველოს და უკრაინის ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრებებს შორის გამართული ლეგენდათა ტურნირის ფინალური მატჩი განსაკუთრებით საინტერესო და დრამატული გამოდგა. მთელი შეხვედრის განმავლობაში ორივე გუნდი აქტიურად უტევდა და გულშემატკივარმა უამრავი სახიფათო მომენტი იხილა. საბოლოოდ შედეგი უკრაინელთა შეტევებმა გამოილო და ბოლო წუთებზე გადამწყვეტი გოლი ედუარდ ციხმეისტრუკმა გაიტანა. ფინალური შეხვედრის დასრულების შემდეგ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. დავით პეტრიაშვილის სახელობის ზამთრის თასი 2020-ის გამარჯვებულებსა და გამორჩეულ მოთამაშეებს კუთვნილი ჯილდოები დავით პეტრიაშვილის შვილმა, ნინო პეტრიაშვილმა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, თორნიკე რიჟვაძემ და ბათუმის მერმა, ლაშა კომახიძემ ლეგენდარულ ფეხბურთელებთან ერთად გადასცეს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელს, ალან ჟირესს ზამთრის თასის სპეციალური პრიზი ვეტერანმა ქართველმა ფეხბურთელმა, ლაშა სალუქვაძემ გადასცა. ზამთრის თასის 2020-ის ლეგენდათა ტურნირის საუკეთესო მეკარე უკრაინელი ვიტალი რევა გახდა, საუკეთესო ბომბარდირი – გეორგიოს კარაგუნისი, ხოლო საუკეთესო ფეხბურთელი – ალექსანდრე იაშვილი.

## მჭედლიანი მე-11 ადგილზე გავიდა

ლოზანის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების მე-10 საშეჯიბრო დღეს საქართველოს ნაკრების ბოლო წარმომადგენელი ტრამპლინიდან მხტომელი ესმერალდა გობოზოვა იყო. ასპარეზობას 34 ტრამპლინიდან მხტომელი შეუდგა. გობოზოვას საკვალიფიკაციო ხტომისას 27-ე შედეგი ჰქონდა. ესმერალდა ძირითადი ტურნირის პირველ ცდაზე 58 მეტრზე გადახტა, 60 ქულა დაიმსახურა და 31-ე ადგილზე გავიდა. ფინალში გობოზოვას ნახტომის სიგრძე 53 მეტრი იყო, ჯამური მაჩვენებელი კი – 98.3 ქულა.

სარბიელზე მოციგავეებიც გავიდნენ. საქართველოს ნაკრებიდან ერთეულთა თანრიგში იასპარეზეს ლაშა და ლუკა მჭედლიანებმა.

ლაშამ პირველი დაშვება მე-14 შედეგით (55.365 წამი) დაასრულა, მეორე დაშვებისას უკეთესი მაჩვენებელი (55.126) ჰქონდა, რამაც მას ჯამური 1:50.491 შედეგით მე-11 ადგილამდე დაწინაურების საშუალება მისცა. ლუკა მჭედლიანმა პირველი დაშვებისას ტრასა 56.119 წამში გაიარა და მე-20 იყო, მეორე დაშვებას უფრო მეტი – 56.343 წამი მოანდომა და მე-19 იყო, მაგრამ ჯამური მაჩვენებლით (1:52.462) მე-20 ადგილი დაიკავა. საქართველოს ნაკრებმა ზამთრის მე-3 ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობა ოქროსა და ბრინჯაოს მედლით დაასრულა, რაც შესაბამისი რანგის ასპარეზობათა ისტორიაში საქართველოსთვის პირველი მონაგარია. ბრინჯაოს მედლის მოპოვებით პირველ ისტორიულ შედეგს ფიგურულ ციგურაობაში ლუკა ბერულავასა და ალინა ბუტაევას წყვილმა მიაღწია. მათვე დაიმსახურეს უმაღლესი სინჯის მედალიც, ამჯერად – შერეულ გუნდურ ასპარეზობაში, სადაც თითოეული გუნდი შედგებოდა მოცეკვავე და სპორტული წყვილების, გოგონათა და ვაჟთა ერთეულთა თანრიგის ფიგურისტებისგან.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● ტიბეტური მედიცინა გთავაზობთ დაავადების გამომწვევ მიზეზთა დიაგნოსტიკას სპეციალური აპარატურით. მკურნალობას ჩაგიტარებენ მოწვეული ექიმები. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიომცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

# ფინეთთან უშანსოდ წავაგეთ

**ფინეთი-საქართველო 37:21**

**რიიჰიმიაკი. ჯოქს არენა**

**ფინეთი:** როსლანდერი, ლაიტინენი: რონბერგი (8 ბურთი), შომანი (7), ჰელანდერი (6), ტამინენი (5), ფორსი (2), მ.გრანლუნდი (2), მარტინი (2), საკინენი (2), კილსტედტი (1), სიურიალა (1), სუნდბერგი (1), კოლიონენი, რ.გრანლუნდი, ჰელაკოსკი

**საქართველო:** თევზაძე, ცინცაძე; ორჯონიკიძე (7), ცხოვრებაძე (7), ჩიქოვანი (4), დიხამინჯია (2), ჭანტურია (1), რუსტამოვი, წითელიშვილი, მიქავა, კბილაშვილი, აბრამიშვილი, კალანდაძე, გოგოლაძე

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მთავარ შესარჩევ რაუნდში გასასვლელ გადამწყვეტ შეხვედრაში სტუმრად ფინეთთან 21:37 დამარცხდა. არადა, თბილისური მატჩის (24:24) შემდეგ უკეთესი შედეგის იმედი გვქონდა.

საპასუხო მატჩს ორივე გუნდი დანაკლისით შეხვდა. საქართველოს ნაკრებს არ ჰყავდა არსენაშვილი და მაისურაძე, რის შემდეგაც დაგვრჩა ერთადერთი ხაზის მოთამაშე, მიქავა. ფინელებს გამოაკლდათ ძირითადი მეკარე მაკელა, რომლის ადგილიც კარში როსლანდერმა დაიკავა და მშვენივრადაც ითამაშა, ჩვენი დანაკარგი კი მნიშვნელოვანი გამოდგა.

კარგად დაიწყო თამაში შოთა თევზაძემ, რომელმაც ორი დარტყმა მოიგერია, ფინელებმა კი მის კარში დანიშნული ორივე შვიდმეტრიანი ააცილეს. მასპინძლები მაინც დაწინაურდნენ, რადგან ჩვენებს შეტევაში უჭირდათ და პირველი გოლი სულაც მე-5 წუთზე გაიტანეს. ფინეთი პირველ ტაიმში 3 ბურთითაც გავიდა წინ – 12:9, მაგრამ ცხოვრებაძემ და ჭანტურიამ სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს.

ტაიმი შეიძლებოდა ფრედ დასრულებულიყო, მაგრამ ჩვენ ბოლო შეტევაში ბურთი დავკარგეთ, მასპინძლებმა კი სწრაფი გარღვევა მოაწყვეს და 14:12 მოიგეს. პირველ ნახევარში თევზაძეს 7 მოგერიება დაუგროვდა, თემო ორჯონიკიძეს კი 6 გოლი. მას შემდეგ, რაც ჩვენმა ორივე მარცხენა გარემარბმა თითო ბურთი ააცილა, მწვრთნელები იძულებულნი გახდნენ, კუთხეში კბილაშვილი გადაეყვანათ, მიქავა კი ხაზზე წითელიშვილმა შეცვალა (კბილაშვილიც და წითელიშვილიც უკანახაზელები არიან). ასეც დავიწყეთ მეორე ტაიმი.



საწყის 2 წუთში ცხოვრებაძემ და ჩიქოვანმა ორჯერ შეამცირეს სხვაობა თითო ბურთამდე (14:15), მაგრამ შემდეგ მიყოლებით გაგვიძევეს კბილაშვილი, ჩიქოვანი და ორჯონიკიძე. მეტოქემ მაქსიმალურად გამოიყენა მეტობა, ჩვენი გუნდის თამაში კი აქ მოიშალა – ზედიზედ გავუშვით 10 გოლი და 14 წუთის განმავლობაში ვერ გავიტანეთ (14:25) და თამაში უკვე მეორე შემადგენლობამ დაასრულა – 21:37.

ტურნირმა აჩვენა, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრები ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდულია უმაღლეს დონეზე სათამაშოდ – სამი ვეტერანით (თევზაძე 38 წლის; ჭანტურია 37; ჩიქოვანი 30) გუნდის საშუალო ასაკი სულ 24 წელია (მათ გარეშე – 22), ხოლო ჩვენი 2 ხელბურთელი საერთოდ თინეიჯერია – გიორგი ცხოვრებაძეს (18) კიდევ 2 წელი ახალგაზრდულ ნაკრებშიც შეუძლია თამაში, ხოლო ნიკოლოზ კალანდაძე (17) ჯერაც ჭაბუკთა ნაკრების წევრია. ფინეთს კი ჰყავდა ძალიან გამოცდილი გუნდი, რომლის 3 ხელბურთელი ჩემპიონთა ლიგის მონაწილე გუნდის წევრია. თბილისშიც და რიიჰიმიაკიშიც სწორედ ამ სამეულმა – ტამინენმა, რონბერგმა და სიურიალამ გადაწყვიტა მატჩის ბედი.

ერთი წლის შემდეგ ჩვენი ეროვნული გუნდი ევროპის მომდევნო, 2024 წლის ჩემპიონატის შესარჩევს ისევ პირველი რაუნდიდან დაიწყებს.

# შერმადინი ისევ საუკეთესოა, შენგელიამ რეალს მოუგო, სანაძემ თასი ჩაიხუტა

გოგა ბითაძის ინდიანას რთული მატჩი ჰქონდა დასავლეთ კონფერენციის ერთ-ერთ ლიდერ დენვერ ნაგითსთან. დენვერი თამაშის დიდი ნაწილი იგებდა, თუმცა ბოლო მეოთხედი ინდიანამ 15 ქულით (41:26) მოიგო და სტუმრად ძალიან მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია.

ბითაძემ 6 წუთი ითამაშა და 4 ქულა ჩააგდო. გოგამ 3 2-ქულიანიდან 2 ჩააგდო, ერთი 3-ქულიანი კი ააცილა. ამასთან ერთად, ჩვენებურს 2 მოხსნაც ჰქონდა.

28 მოგებითა და 15 მარცხით ინდიანა აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილს იკავებს. მომდევნო მატჩი ნეიტ მაკმილანის გუნდს იუტა ჯაზთან ელის.

თორნიკე შენგელიას ბასკონიამ მადრიდში რეალი 95:94 დაამარცხა, მატჩის გმირად კი ქართველი კალათბურთელი იქცა. ეს მოხდა ესპანეთის ჩემპიონატის მე-18 ტურის ცენტრალურ მატჩში, რომელშიც ფავორიტად მასპინძელი, სამეფო კლუბი ითვლებოდა.

შენგელიამ შეუცვლელად – 40 წუთს ითამაშა, რაც თანამედროვე კალათბურთისთვის და განსაკუთრებით ესპანეთის უძლიერესი ლიგისთვის უიშვიათესი ფაქტია.

მატჩის დასრულებამდე 25 წამით ადრე ტაბლოზე ფრე (91:91) იყო დაფიქსირებული, როდესაც შენგელიამ ფარქვეშ შეჭრა მოახერხა და ლამაზი სლემ-დანქი განახორციელა, საპასუხო შეტევაში ფაკუნდო კამპაცომ ვერ ივარგა, მადრიდელები თორნიკეზე დაჯარიმდნენ და მან ორივე ტყორცნა გამოიყენა – 91:95.

საფინალო სირენამდე 5 წამით ადრე, რეალის ვარსკვლავმა სერხიო ლულმა ურთულესი 3-ქულიანი ჩააგდო და ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა, რასაც შენგელიას წინააღმდეგ კიდევ 1 პერსონალური ფოლი მოჰყვა.

ამ შემთხვევაში, ქართველმა ლეგიონერმა ვერცერთი ჯარიმა ვერ გამოიყენა, თუმცა, იმავე ლულის მიერ თავისი ნახევრიდან ნასროლი ბურთი მიზანს მიღმა გაუშვა და ბასკონიამ მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა.

გიორგი შერმადინმა ესპანეთის ჩემპიონატში კვლავ გაიბრწყინა. მცირე პაუზის შემდეგ ის კვლავ საკუთარი გუნდისა და მთლიანად ტურის საუკეთესო მოთამაშე გახდა და ტენერიფელებს გამარჯვებისკენ გაუძღვა. შერმადინის იბეროსტარმა კი, ესტუდიანტესს უმასპინძლა და 76:59 დაამარცხა.

ქართველმა ცენტრმა მოედანზე 25 წუთი გაატარა და თავი 21 ქულას, 14 მოხსნას, 2 პასს და 1 ჩაჭრას მოუყარა. შერმადინმა 11-დან 6 ორქულიანი და 10-დან 9 საჯარიმო ჩააგდო. გიორგის სარგებლიანობის ინდექსმა 31 ერთეული შეადგინა.



11 მოგებითა და 6 მარცხით იბეროსტარი საპატიო მე-4 ადგილზე იმყოფება. შემდეგ მატჩს შერმადინის გუნდი სტუმრად, ბურგოსთან გამართავს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, დუდა სანაძე პორტუგალიის თასის მფლობელია. ოლივეირენშემ, რომელმაც ნახევარფინალში სპორტინგს 93:88 სძლია, ფინალურ მატჩში ბენფიკას 83:81 აჯობა და თასი მოიპოვა.

სანაძე ორივე შეხვედრაში გამორჩეული იყო. ნახევარფინალურ შეხვედრაში ქართველი კალათბურთელი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 35 წუთში 14 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი და 3 ჩაჭრა მოაგროვა. დუდამ 10-დან 4 ორქულიანი, 6-დან 1 სამქულიანი და 5-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

სანაძე ფინალურ მატჩში 17 ქულით ბომბარდირი გახდა. დუდამ 22 წუთში 6-დან 4 2-ქულიანი და 6-დან 3 3-ქულიანი ჩააგდო, აქტივში 1 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრაც ჰქონდა.

შეგახსენებთ, რომ ოლივეირენშე პორტუგალიის ბოლო 2 წლის ჩემპიონია და მიმდინარე გათამაშებაში მე-4 ადგილზე იმყოფება. სანაძის გუნდს სწორედ ის გუნდები უსწრებენ, რომლებიც თასის გათამაშებაში მონაწილეობდნენ – პორტო, ბენფიკა და სპორტინგი.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა, მიხეილ ბერიშვილმა ყატარის ჩემპიონატში სუპერშედეგიანი მატჩი ჩაატარა. ქართველი ფორვარდისთვის იღბლიანი გამოდგა უშუალო კონკურენტ ალ ვაკრასთან მატჩი, რომელშიც ბერიშვილის წყალობით ალ შამალმა 109:80 იმარჯვა.

ჩვენებურმა მოედანზე გატარებულ 38 წუთში 42 ქულა, 7 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. გამოსარჩევია მისი სროლის პროცენტული მაჩვენებელი – ბერიშვილს თითქმის არ აუცილებია: 9-დან 8 ორქულიანი, 8-ვე სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 50-ს გაუტოლდა და რა გასაკვირია, რომ ის მატჩის საუკეთესოდ აღიარეს.

ბერიშვილმა ბურთების უმეტესობა გიორგი ცინცაძის პასებით ჩააგდო. საქართველოს ნაკრების ძირითადმა გამთამაშებელმა მოედანზე 39 წუთი გაატარა და ორმაგი დუბლი შეასრულა: 18 ქულა, 16 პასი, 4 მოხსნა და 1 ჩაჭრა. ცინცაძემ 7-დან 6 ორქულიანი და 5-დან 2 სამქულიანი გამოიყენა. მისმა სარგებლიანობის კოეფიციენტმა 29 შეადგინა, რაც სტუმართა რიგებში ბერიშვილის შემდეგ მე-2 მაჩვენებელი იყო.

ალ შამალმა ზედიზედ მე-4 გამარჯვება იზეიმა და 9 მოგებით სატურნირო ცხრილის სათავეში იმყოფება, მომდევნო მატჩს კი შინ, ერთ-ერთ აუტსაიდერ ალ სადთან ჩაატარებს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# მესის აგუერო სურს

ლუის სუარესის ოპერაციის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ურუგვაელი ბარსელონას დაახლოებით 4 თვე ვერ დაეხმარება, რაც კატალონიელებისთვის უდიდესი დანაკლისია და კლუბი ამ პრობლემის მოგვარების გზებს ეძებს. მედიაში გავრცელებული ხმებით, ბარსელონას ახალმა მწვრთნელმა კიკე სეტიენმა პოსტზე დანიშვნის შემდეგ ლეო მესისთან ერთი ერთზე ისაუბრა და მას ცენტრფორვარდის პრობლემის შესახებ ჰკითხა. მედია წერს, რომ მესიმ სეტიენს აგუეროს შეძენა ურჩია – არგენტინელის აზრით, სუარესის იდეალური შემცვლელი სწორედ ის იქნება. ესპანური პრესის ცნობით, სეტიენი ცენტრფორვარდის შესახებ გადაწყვეტილებას უახლოეს პერიოდში მიიღებს და მას კლუბის ხელმძღვანელობას გააცნობს. თუმცა, რთული წარმოსადგენია, რომ მანჩესტერ სიტიმ თავისი ლეგენდა შუა სეზონში დათმოს. შეგახსენებთ, რომ აგუეროს სიტისთან არსებული ხელშეკრულება 2021 წელს უსრულდება.

# შედეგები

## 19 იანვარი

**ფეხბურთი**

**ოლიმპიადა 2020. შესარჩევი ეტაპი**

ეკვადორი-ჩილე ............................ 0:3
კოლუმბია-არგენტინა .................... 1:2

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბარნლი-ლესტერი .......................... 2:1
ლივერპული-მანჩესტერი ............... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 22 | 21 | 1 | 0 | 52-14 | 64 |
| 2.სიტი | 23 | 15 | 3 | 5 | 64-27 | 48 |
| 3.ლესტერი | 23 | 14 | 3 | 6 | 48-23 | 45 |
| 4.ჩელსი | 23 | 12 | 3 | 8 | 39-30 | 39 |
| 5.მანჩესტერი | 23 | 9 | 7 | 7 | 36-27 | 34 |
| 6.ვულვზი | 23 | 8 | 10 | 5 | 34-30 | 34 |
| 7.შეფილდი | 23 | 8 | 9 | 6 | 25-22 | 33 |
| 8.ტოტენჰემი | 23 | 8 | 7 | 8 | 36-31 | 31 |
| 9.კრ.პალასი | 23 | 7 | 9 | 7 | 22-26 | 30 |
| 10.არსენალი | 23 | 6 | 11 | 6 | 30-32 | 29 |
| 11.ევერტონი | 23 | 8 | 5 | 10 | 26-33 | 29 |
| 12.ნიუკასლი | 23 | 8 | 5 | 10 | 22-34 | 29 |
| 13.საუთჰემპტონი | 23 | 8 | 4 | 11 | 29-42 | 28 |
| 14.ბარნლი | 23 | 8 | 3 | 12 | 26-38 | 27 |
| 15.ბრაიტონი | 23 | 6 | 7 | 10 | 26-31 | 25 |
| 16.ვესტ ჰემი | 22 | 6 | 5 | 11 | 26-34 | 23 |
| 17.უოტფორდი | 23 | 5 | 8 | 10 | 20-34 | 23 |
| 18.ასტონ ვილა | 23 | 6 | 4 | 13 | 29-44 | 22 |
| 19.ბორნმუთი | 23 | 5 | 5 | 13 | 20-36 | 20 |
| 20.ნორვიჩი | 23 | 4 | 5 | 14 | 23-45 | 17 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ნოტინგემი-ლუთონი ...................... 3:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰერტა-ბაიერნი ............................. 0:4
პადერბორნი-ლევერკუზენი .......... 1:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიფციგი | 18 | 12 | 4 | 2 | 51-21 | 40 |
| 2.ბაიერნი | 18 | 11 | 3 | 4 | 50-22 | 36 |
| 3.გლადბახი | 18 | 11 | 2 | 5 | 33-20 | 35 |
| 4.დორტმუნდი | 18 | 9 | 6 | 3 | 46-27 | 33 |
| 5.შალკე | 18 | 9 | 6 | 3 | 31-21 | 33 |
| 6.ლევერკუზენი | 18 | 9 | 4 | 5 | 27-22 | 31 |
| 7.ფრაიბურგი | 18 | 8 | 5 | 5 | 29-24 | 29 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 18 | 8 | 3 | 7 | 26-30 | 27 |
| 9.ვოლფსბურგი | 18 | 6 | 6 | 6 | 19-21 | 24 |
| 10.აუგსბურგი | 18 | 6 | 5 | 7 | 31-36 | 23 |
| 11.აინტრახტი | 18 | 6 | 3 | 9 | 29-30 | 21 |
| 12.უნიონი | 18 | 6 | 2 | 10 | 21-27 | 20 |
| 13.კიოლნი | 18 | 6 | 2 | 10 | 22-33 | 20 |
| 14.ჰერტა | 18 | 5 | 4 | 9 | 22-33 | 19 |
| 15.მაინცი | 18 | 6 | 0 | 12 | 26-41 | 18 |
| 16.ვერდერი | 18 | 4 | 5 | 9 | 24-41 | 17 |
| 17.ფორტუნა | 18 | 4 | 3 | 11 | 18-37 | 15 |
| 18.პადერბორნი | 18 | 3 | 3 | 12 | 21-40 | 12 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალიორკა-ვალენსია ..................... 4:1
ბეტისი-სოსიედადი ........................ 3:0
ვილიარეალი-ესპანიოლი .............. 1:2
ბილბაო-სელტა ............................. 1:1
ბარსელონა-გრანადა ..................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 20 | 13 | 4 | 3 | 50-23 | 43 |
| 2.რეალი | 20 | 12 | 7 | 1 | 38-13 | 43 |
| 3.ატლეტიკო | 20 | 9 | 8 | 3 | 22-14 | 35 |
| 4.სევილია | 20 | 10 | 5 | 5 | 25-20 | 35 |
| 5.ხეტაფე | 20 | 9 | 6 | 5 | 29-20 | 33 |
| 6.სოსიედადი | 20 | 9 | 4 | 7 | 33-28 | 31 |
| 7.ვალენსია | 20 | 8 | 7 | 5 | 30-29 | 31 |
| 8.ბილბაო | 20 | 7 | 9 | 4 | 21-14 | 30 |
| 9.ვილიარეალი | 20 | 8 | 4 | 8 | 34-28 | 28 |
| 10.გრანადა | 20 | 8 | 3 | 9 | 25-26 | 27 |
| 11.ბეტისი | 20 | 7 | 6 | 7 | 29-32 | 27 |
| 12ლევანტე | 20 | 8 | 2 | 10 | 26-30 | 26 |
| 13.ოსასუნა | 20 | 5 | 10 | 5 | 26-25 | 25 |
| 14.ალავესი | 20 | 6 | 5 | 9 | 21-29 | 23 |
| 15.ვალიადოლიდი | 20 | 4 | 10 | 6 | 17-23 | 22 |
| 16.ეიბარი | 20 | 6 | 4 | 10 | 20-29 | 22 |
| 17.მალიორკა | 20 | 5 | 3 | 12 | 22-34 | 18 |
| 18.სელტა | 20 | 3 | 7 | 10 | 17-30 | 16 |
| 19.ლეგანესი | 20 | 3 | 5 | 12 | 16-33 | 14 |
| 20.ესპანიოლი | 20 | 3 | 5 | 12 | 16-37 | 14 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ელჩე-ალკორკონი ......................... 1:1
დეპორტივო-კადისი ...................... 1:0
რასინგი-ლას პალმასი .................. 1:1
ოვიედო-უესკა ............................. 1:1
ტენერიფე-ხირონა ....................... 1:0
ესტრემადურა-ალმერია ................ 1:2

**იტალია. სერია ა**

მილანი-უდინეზე ........................... 3:2
ბოლონია-ვერონა ......................... 1:1
ბრეშა-კალიარი ............................ 2:2
ლეჩე-ინტერი ............................... 1:1
ჯენოა-რომა ................................. 1:3
იუვენტუსი-პარმა ......................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 20 | 16 | 3 | 1 | 39-19 | 51 |
| 2.ინტერი | 20 | 14 | 5 | 1 | 41-17 | 47 |
| 3.ლაციო | 19 | 14 | 3 | 2 | 46-18 | 45 |
| 4.რომა | 20 | 11 | 5 | 4 | 37-22 | 38 |
| 5.ატალანტა | 19 | 10 | 5 | 4 | 49-26 | 35 |
| 6.კალიარი | 20 | 8 | 6 | 6 | 35-31 | 30 |
| 7.პარმა | 20 | 8 | 4 | 8 | 27-27 | 28 |
| 8.მილანი | 20 | 8 | 4 | 8 | 21-26 | 28 |
| 9.ტორინო | 20 | 8 | 3 | 9 | 26-28 | 27 |
| 10.ვერონა | 19 | 7 | 5 | 7 | 22-22 | 26 |
| 11.ნაპოლი | 20 | 6 | 6 | 8 | 28-28 | 24 |
| 12.ბოლონია | 20 | 6 | 6 | 8 | 29-32 | 24 |
| 13.ფიორენტინა | 20 | 6 | 6 | 8 | 25-29 | 24 |
| 14.უდინეზე | 20 | 7 | 3 | 10 | 19-31 | 24 |
| 15.სასუოლო | 20 | 6 | 4 | 10 | 32-35 | 22 |
| 16.სამპდორია | 20 | 5 | 4 | 11 | 20-33 | 19 |
| 17.ლეჩე | 20 | 3 | 7 | 10 | 23-39 | 16 |
| 18.ბრეშა | 20 | 4 | 3 | 13 | 19-38 | 15 |
| 19.ჯენოა | 20 | 3 | 5 | 12 | 21-41 | 14 |
| 20.სპალი | 19 | 3 | 3 | 13 | 12-29 | 12 |

**იტალია. სერია ბ**

პესკარა-სალერნიტანა ................. 1:2
სპეცია-ჩიტადელა ........................ 1:1
ბენევენტო-პიზა ........................... 1:1

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ვენლო-პსვ .................................. 1:1
აიაქსი-სპარტა ............................. 2:1
ემენი-ერაკლესი .......................... 1:0
დენ ჰააგი-ვალვაიკი ..................... 2:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფერეირა-ჟილ ვისენტე ................. 0:0
ფამალიკაო-მარიტიმუ ................. 1:1
რიუ ავე-ბოავიშტა ....................... 2:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

სერკლი-ანტვერპენი ..................... 1:2
ანდერლეხტი-ბრიუგე ................... 1:2
ვარეგემი-გენკი ........................... 0:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ქსანთი-პანათინაიკოსი ................. 0:1
აეკი-ლარისა ............................... 3:0
ატრომიტოსი-ვოლოსი ................... 0:0
პაოკი-ასტერასი ........................... 3:1
ოლიმპიაკოსი-არისი .................... 4:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანთალია-გიოზთეფე ..................... 0:3
გალათასარაი-დენიზლი ............... 2:1
ტრაბზონი-ქაშიმფაშა .................. 6:0
ბეშიქთაში-სივასი ........................ 1:2

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის" პერსონაჟი; 2. ცბიერი, გაიძვერა ადამიანი; 3. დიდი ფართობის ნოყიერი სახნავი ნიადაგი; 4. კარსტული მღვიმე წყალტუბოს მახლობლად; 5. გემის ავარიის შედეგად დამდგარი ზარალის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 9. დეტექტიური ჟანრის ბრიტანელი მწერალი ქალი; 12. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 14. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 15. რძის პროდუქტი; 17. ცხენებშებმული ტრამვაი ძველ თბილისში; 18. აზროვნების უნარი, გონება.

**თარაზულად:** 6. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 7. ევროსაბჭოს უმაღლესი კომისარი; 8. ესპანეთის ძველი დედაქალაქი; 10. ისტორიული ციხე-სიმაგრე ქობულეთის მახლობლად; 11. შუშხუნა ღვინოების მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. რთული, სადავო საკითხის შემფასებელი სწორი დასკვნის დამდგენი სპეციალისტი; 16. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 20. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კალიფორნია; 4. კაქტუსი; 7. მენზურა; 9. თეორემა; 10. ლეიბი; 12. პრეფექტი; 16. მარაბელი; 17. ინდექსი; 18. მეტიზაცია; 20. რევერსი; 21. სინი; 22. კონტაქტი.

**შვეულად:** 1. კომეტა; 2. ოკრიბა; 3. იურთი; 5. ტიტა; 6. სურამი; 8. არიელი; 11. ეპიცენტრი; 13. კანდელი; 14. სიმენსი; 15. მინიონი; 19. იოტა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. არისა; 2. იდეა; 3. რემბო; 4. პრესა; 5. რძე; 6. აისი; 7. ეპოსი; 8. პაი; 9. ნამიბია; 10. ოლოლო; 11. რა; 12. არტელი; 13. ფირალი; 14. პენტაგონი; 15. ალენ; 16. აბორტი; 17. ეტლი; 18. ფიალა; 19. პა; 20. მალიბუ; 21. მეი; 22. კონტრა; 23. აპკი; 24. „აპასიონატა"; 25. კანტატა; 26. რკალი; 27. ნოტა; 28. კრიმინალი; 29. სტარტი; 30. ლიბრეტო; 31. ერა; 32. აული. **სურათებზე:** ლუიზიანა ლოპილატო; პედრო ლეონი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 იანვარი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8781

ევრო — 3.2002

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7556

100 რუსული რუბლი — 4.6888

## ამინდის პროგნოზი 21 იანვრისთვის





21 იანვრიდან
რევაზ მიშველაძე
# ქრისტე
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## „დიდი სცენა“ ზურა მარგიშვილმა დატოვა



მუსიკალური შოუ „დიდი სცენა“ ზურა მარგიშვილმა დატოვა. მეორე საკონკურსო ტური სწორედ მისთვის აღმოჩნდა წარუმატებელი.

საკონკურსო ტურის დასაწყისშივე შოუდან გავარდნის ორივე კანდიდატმა ზურა მარგიშვილმა და ქეთა ჭიჭინაძემ დუეტი შეასრულეს, ხმების დათვლის შემდეგ კი შოუს ზურა გამოეთიშა.

მეორე ტურში კონკურსანტებმა მსოფლიო ჰიტები შეასრულეს. შოუს ბოლოს კი კიდევ ერთი გავარდნის კანდიდატი დასახელდა – ანანო ჩიტაიშვილი და ქეთა ჭიჭინაძე. ისინი მომავალ კვირას დუეტს შეასრულებენ და მათგან ყველაზე ნაკლები ხმის მქონე კონკურსანტი შოუს დატოვებს.

ხმათა უმრავლესობით მეორე საკონკურსო ტურის ლიდერობა ირაკლი კაპანაძემ მოიპოვა.

## ქეთი დოლიძე: „სანამ კულტურის ახალ მინისტრს დანიშნავთ, გაგვაცანით!“



ასეთი მოთხოვნა აქვს რეჟისორ ქეთი დოლიძეს:

– ბატონებო!

სანამ კულტურის ახალ მინისტრს დანიშნავთ, გაგვაცანით, გაგვაგებინეთ, რა გაუკეთებია ქართული კულტურისთვის?!

გეყოფათ, მართლა და მართლა!

გეყოფააააააათ!

## სტეფანე მღებრიშვილი: „უშველეთ თავებს, სანამ დროა!“



ასე მიაჩნია მომღერალ სტეფანე მღებრიშვილს და ამ განცხადების მიზეზსაც განმარტავს:

– საკუთარი თავები რომ ყველაზე მაგრები გგონიათ და მთელ დედამიწაზე რომ ხართ გაბრაზებული, მაგაშია თქვენი პრობლემა, თორემ ადეკვატურები რომ იყოთ, ბევრად ადვილად იცხოვრებდით... დიდი ამბავი, ზოგი კარგად მღერით, ზოგი ცეკვავთ, ზოგი ლამაზია, მაგრამ ესე ყველას აქვს რამე დასაფასებელი. ვიჯდეთ ეხლა და გვეცოდებოდეს საკუთარი თავები და პათოსით გაბრაზებულებმა ვიაროთ ქუჩაში. უშველეთ თავებს, სანამ დროა! ჭაობი ითრევს ღრმად.

## იუმორი

ქალს შუაღამისას გამოეღვიძა და ხედავს, ქმარი ლოგინში არ წევს. ადგა, ხალათი მოიცვა და სამზარეულოში გასულმა დაინახა, რომ ქმარი მაგიდასთან ზის, ჩაფიქრებული კედელს მისჩერებია და თვალებზე ცრემლებს იმშრალებს.

– რა მოხდა, ძვირფასო? – ეკითხება ცოლი.

– გახსოვს, 20 წლის წინ რომ შევხვდით ერთმანეთს, მაშინ ორივე 16 წლის ვიყავით.

– მახსოვს, ძვირფასო, როგორ არ მახსოვს.

– და ის თუ გახსოვს, მამაშენმა მანქანის უკანა სავარძელზე სექსის დროს რომ დაგვიჭირა?

– რა თქმა უნდა, მახსოვს.

– და გახსოვს, მამაშენმა შუბლზე პისტოლეტი რომ მომადო და მითხრა, რომ ან შენზე დავქორწინდებოდი, ან ციხეში 20 წლით ჩავჯდებოდი?

– მახსოვს.

– ჰოდა, დღეს გამოვიდოდი ციხიდან...

•••

კორესპონდენტი რუს ტურისტს, რომელიც ტუნისში იმყოფება და სამშობლოში დაბრუნება აღარ უნდა, ეკითხება:

– სამშობლოში რატომ აღარ ბრუნდებით, აქ ხომ სახიფათოა?

– აქ გადატრიალება სრულდება, სამაგიეროდ თბილა, პლაჟი და ზღვაა, დასვენება. სახლში კი ცივა, სამუშაო არ არის და გადატრიალებაც ჯერ არ დაწყებულა...

## იურგენ კლოპი: „მანჩესტერს შანსი არ მივეცით“



ლივერპულმა საკუთარ მოედანზე მანჩესტერ იუნაიტედი დაამარცხა და თავისი პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარა. ლივერპული მეორე ადგილს 16 ქულით უსწრებს და მისი ჩემპიონობა თითქმის ეჭვს აღარ იწვევს.

მიუხედავად ამისა, კლოპი ფიქრობს, რომ ჯერ ზეიმი ნაადრევია და წინ კიდევ ბევრი მატჩია: – ძალიან კმაყოფილი ვარ თამაშით. მეტოქეს შანსი არ მივეცით. შეტევაშიც და დაცვაშიც უშეცდომოდ ვითამაშეთ და ეს მახარებს. მოდუნებას არ ვაპირებთ და სანამ ჩემპიონები არ გავხდებით, მიზანი მიღწეული არ იქნება.

## კიკე სეტიენი: „თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ“

ბარსელონას ახალმა მთავარმა მწვრთნელმა კიკე სეტიენმა გრანადასთან მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ის თამაშის ხარისხით კმაყოფილია, თუმცა გუნდს კიდევ ბევრი აქვს სამუშაო, რომ ოპტიმალურ ფორმაში შევიდეს:

– მესიმ გააკეთა ის, რასაც 10 წელზე მეტია აკეთებს და მან თამაში მოგვაგებინა. ბურთს კარგად ვაკონტროლებდით, თუმცა მეტოქეს მაინც მივეცით რამდენიმე შანსი, რაზეც მომავალში უნდა ვიმუშაოთ. მე მიყვარს, როდესაც ჩემი გუნდი ბურთს აკონტროლებს და მომავალშიც აქცენტს ამაზე გავაკეთებთ.

ბარსელონამ გრანადა 1:0 დაამარცხა.

## ისკომ შესაძლოა კარიერა ჩელსიში გააგრძელოს



მადრიდის რეალის ესპანელმა ნახევარმცველმა ისკო ალკორკონმა შესაძლოა კარიერა ლონდონის ჩელსიში გააგრძელოს.

ისკო ხშირად არ თამაშობს რეალის ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ მას გუნდის დატოვება მაინც არ სურს. ჩელსი მზად არის, ამ ტრანსფერში 75 მილიონი გადაიხადოს და ფრენკ ლამპარდს ისკოს გადმობირების დიდი სურვილი აქვს.

რამდენიმე დღეში შესაძლოა ისკოს აგენტი ლონდონში ჩაფრინდეს ჩელსისთან მოსალაპარაკებლად.

## ლივერპულს ტიმო ვერნერის შეძენა სურს



ლივერპულმა შესაძლოა ახალი ფორვარდი იყიდოს და ეს ფორვარდი გერმანელი ტიმო ვერნერია, რომელიც ძალიან კარგ სეზონს ატარებს.

ვერნერმა უკვე 25 გოლი გაიტანა და ამ შედეგით ის ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. გარდა ამისა, ვერნერი ძალიან მოსწონს იურგენ კლოპს, რომელიც ფიქრობს, რომ ტიმო გერმანიაში ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელია.

ლაიპციგი მზად არის, ვერნერი გაყიდოს, თუ მასში ვინმე 80 მილიონს გადაიხდის.

## ქუთაისის თოჯინების თეატრი განახლდა

ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების თეატრმა 73-ე სეზონი რეაბილიტირებულ შენობაში გახსნა.

თეატრის შენობისა და ეზოს სრული რეკონსტრუქცია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით ორი წლის წინ დაიწყო. ფონდი „ქართუსა“ და სახელმწიფოს მხარდაჭერით განხორციელდა 10 სახელმწიფო-პროფესიული თეატრის სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია და აღჭურვა. მიმდინარეობს კიდევ 10 პროფესიული თეატრის რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამა.

ქუთაისის თოჯინების თეატრის რეაბილიტაციის ფარგლებში სრულად რეაბილიტირდა თეატრის შენობა, გამაგრდა საძირკველი, დამონტაჟდა გათბობა-გაგრილების სისტემა, მთლიანად გამოიცვალა სველი წერტილები და ელექტროგაყვანილობა, შეიცვალა სცენის კონსტრუქცია და დარბაზი აღიჭურვა ახალი განათება-გახმოვანების აპარატურით. თეატრი სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.




ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი 1946 წლის 31 დეკემბერს დაარსდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## უსმან დემბელემ ტრავმა მოიშუშა



ბარსელონას ფრანგმა ფორვარდმა უსმან დემბელემ ტრავმა მოიშუშა და შემდეგ შეხვედრაში ის, სავარაუდოდ, თავის გუნდს დაეხმარება. დემბელემ ტრავმა ნოემბრის ბოლოს მიიღო და მას შემდეგ ის მოედანზე არ გამოსულა. ამ ხნის მანძილზე უსმანი რამდენიმე ქვეყანაში იყო სამკურნალოდ და, როგორც ჩანს, მან ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა. დემბელეს დაბრუნება ბარსელონასთვის აუცილებელია, რადგან ლუის სუარესი გუნდს მაისამდე ვერ დაეხმარება.

## ჯენიფერ ლოპესი სცენაზე მილიონი დოლარის სამკაულებით გამოვიდა

ჰოლივუდის მსახიობი და მომღერალი ჯენიფერ ლოპესი აშშ-ის კინომსახიობთა გილდიის პრემიის დაჯილდოების ცერემონიაზე მილიონი დოლარის ღირებულების სამკაულებით დამშვენებული გამოჩნდა. ღონისძიებაზე ცნობილი სახე ამერიკული საიუველირო ბრენდის ჰარრყ ჭინსტონ-ს სამკაულებით გამოვიდა. მან ცერემონიისთვის შეარჩია ყელსაბამი, ორი სამაჯური და საყურეები, რომელთა ბრილიანტების წონა შესაბამისად შეადგენდა 73,55 კარატს, 35,42 კარატს, 59,27 კარატს და 14 კარატს. მას ასევე ეკეთა ძვირფასი ქვებით დამშვენებული რამდენიმე ბეჭედი. სამკაულების საერთო ღირებულება დაახლოებით ცხრა მილიონ დოლარს შეადგენდა. საღამოზე მომღერალს ეცვა შავი ფერის გრძელი შემოტმასნილი კაბა ჩამოშვებული მხრებით, რომელიც ლიბანურ ბრენდ Georges Hobeika-ს ეკუთვნის. ის დამშვენებული იყო ბაფთითა და გრძელი შლეიფით.

## ასტროპროგნოზი

### 21 იანვრისთვის



**ვერძი** – ფულის შოვნის ახალ წყაროს მიაგნებთ. ვარსკვლავების განლაგება ამაში დაგეხმარებათ. მთლიანობაში, წარმატებული დღეა. **კურო** – პლანეტები კვლავ გაფრთხილებენ: ჯანმრთელობას მიხედეთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – ერთ-ერთი უიღბლო დღეთაგანია. გამორიცხული არ არის მატერიალური ზარალი. ასევე სასურველია, გაუფრთხილდეთ ჯანმრთელობას და ფიზიკურად არ გადაიტვირთოთ. **კირჩხიბი** – თავგადასავლების ძიებას შეეშვით. უმჯობესი იქნება, თუ დაისვენებთ წიგნით ან გაზეთით ხელში. **ლომი** – წარმატება ელით კომერციული საქმიანობით დაკავებულ ადამიანებს. მიზანს იოლად მიაღწევთ. ფულს შოულობთ. **ქალწული** – ყოველმხრივ ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. ახალგაცნობილი ადამიანი სასარგებლო იდეას მოგაწვდით. **სასწორი** – დიდი შანსია, ცდუნების აყოლამ სავალალო შედეგი გამოიღოს. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიეთ. **მორიელი** – დაისვენეთ კულტურულად, ეწვიეთ მუზეუმებს, საგამოფენო დარბაზებს. ახალი შთაბეჭდილებები სულიერად გაგამდიდრებთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ მძიმე სამუშაოს. ეს თქვენი ჯანმრთელობისთვის დაუშვებელია. შესაძლოა ქრონიკული დაავადებები გაგიმწვავდეთ. **თხის რქა** – ნებისმიერ გამოცდას წარმატებით ჩააბარებთ. მიზანს იოლად მიაღწევთ, ოღონდ ეს თქვენი ჯანმრთელობის ფასად არ უნდა მოხდეს. **მერწყული** – თქვენი კომუნიკაბელურობა და სწრაფი რეაქციის უნარი საშუალებას მოგცემთ, დასახულ ამოცანას თავი წარმატებით გაართვათ. **თევზები** – კრიტიკული დღეა. თუ სამოგზაუროდ წასვლას გადაწყვეტთ, სიფრთხილე გამოიჩინეთ ანდა საერთოდ სამომავლოდ გადადეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქალაქი იტალიაში, სადაც ყოველწლიურად ტარდება საოპერო მომღერლების საერთაშორისო კონკურსი; 2. ესპანური წესით დამზადებული ღორის შაშხი; 3. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 4. გერმანელი ფიზიკოსი, კვანტური ფიზიკის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 6. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 8. დაზვერვის თანამშრომელი; 11. ჩქარტემპიანი კუბური ცეკვა; 12. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 16. ბალჩეული ხილი; 17. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 18. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო.

**თარაზულად:** 1. სილის გორაკი უდაბნოში; 5. მინერალური წყალი სამეგრელოში; 7. ხელის კუნთების სავარჯიშო სატანვარჯიშო იარაღი; 9. ბუნების დამცველი; 10. უფლისწულის ტიტული ესპანეთში; 13. ორადგილიანი ველოსიპედი; 14. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 15. უდაბნო მონღოლეთსა და ჩინეთში; 19. ჩრდილო ამერიკაში მზარდი გიგანტური წიწვოვანი ხე; 20. ფრანგული ავტომობილი; 21. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 22. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

